# საარბიელო

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 5 ივნისი 2002 №101 (1623) | ფასი 50 თეთრი


# ირბინე, როგორც იაპონიამ!





REUTERS

იაპონელმა ტაკაიუკი სუზუკიმ დაწინაურებულ ბელგიელებს სიხარული არ აცალა, ორ წუთში 1:1 გახადა. მატჩი საბოლოოდ 2:2 დასრულდა

# გაიმარჯვე, როგორც კორეამ!

კორეამ და იაპონიამ მსოფლიოს ჩემპიონატი ისეთი რიხით დაიწყეს, თითქოს თავიანთ ქვეყნებში გასამართი მუნდიალისთვის ენერგიას წლობით აგროვებდნენ. სპრინტერული სისწრაფით ჩაუქროლეს პოლონეთსა და ბელგიას, სტაიერის გამძლეობა კი ეგებ კარგა ხანს გაჰყვეთ.

თანამასპინძელთა ტაქტიკა მარტივია — მეტოქე მოქანცე და სიქაგამძვრალს დაარტყი. კი, ნათქვამია, ყველაფერი გენიალური მარტივიაო, მაგრამ ის არ უთქვამთ, ყველაფერი მარტივია გენიალურიაო, თუმც ამ ჩვეულებრივი სიმარტივით კორეა და იაპონია ჯერჯერობით ფონს გავიდნენ. გამძლეობა კი მართლაც ისეთი აქვთ, რობერტო კარლოსს შეშურდება.

რობერტო კარლოსს რა უჭირს, მისი თანამემამულე რივალდოსი კი ახლა არ უნდა შეშურდეს კაცს — ფიფას სადისციპლინო კომიტეტი დღეს ბრაზილიელს სასამართლოს მოუწყობს და სიმულაციისთვის შესაძლოა, სამაგალითოდ დასაჯოს. აკი გამოაცხადა ფიფამ მუნდიალის დაწყებამდე, საფეხბურთო აფერისტები ჩვენგან დანდობას ნუ ელიანო.



# არ წაიქცე, როგორც რივალდო!

# კორეა-იაპონია 2002
## C ჯგუფი. I ტური

# №12 ჩინეთი 0:2 კოსტა რიკა

4 ივნისი. კვანჯუ (კორეა). 11.30 „კვანჯუ უორლდ კაპ სთედიუმ". 27 217 მაყურებელი

0:1 გომესი (61), 0:2 რაიტი (65)

22 ჯიანი
მწვრთნელი
ბორა მილუტინოვიჩი
21 იუნლონგი   5 ქე   14 ვეიფენგი   4 ჩენგიანგი
18 ხაოჰენგი   8 ტიე
7 ქიხაი   9 მინგიუ
10 ჰაიდონგი   20 ჩენ-იანგი
11 რ. გომესი   7 ფონსეკა
9 ვანჩოპე
22 კ. კასტრო   8 სოლისი
10 სენტენო
4 რაიტი   3 მარინი   5 გ. მარტინესი   15 უოლესი
მწვრთნელი
ალეშანდრე გიმარაეში
1 ლონისი

შეცვლა: ქიხაი – 16. ბო (26), ფონსეკა – 17. მედფორდი (57), ჩენ-იანგი – 12. მაოჟენი (66), უოლესი – 16. ბრისი (70), ქი – 11. გენვეი (74), ვანჩოპე – 6. ვ. ლოპესი (80)

გაფრთხილება: მარინი (15), სოლისი (17), ტიე (60), იუნლონგი (72), გომესი (79), სენტენო (85), ხაოჰენგი (90)

მსაჯები: კიროს ვასარასი (საბერძნეთი); კარლუშ მატუში (პორტუგალია), იაპ პოოლი (ჰოლანდია)

| | | |
|---|---|---|
| 15 | ჯარიმა | 18 |
| 6 | კუთხური | 2 |
| 3 | კარისკენ დარტყმა | 6 |
| 8 | კარში დარტყმა | 13 |
| 2 | თამაშგარე | 6 |



ლი ვეიფენგი რონალდ გომესს (№11) ამბრაზურასავით გადაეფარა



მეკარე ერიკ ლონისმა ხუი იუნლონგს ბურთი თავიდან ააცილა

# სამაგიეროდ, მილიარდზე მეტი ვართ
## ჩინური ჯინი ბოთლიდან ვერ ამოძვრა

**ვაჟა ხუციშვილი**

**ჩინელები,** სანამ სამ მილიარდს არ მიაღწევენ, ალბათ, ფეხბურთის თამაშსაც ვერ ისწავლიან. თუმც მაშინ ბორა მილუტინოვიჩიც აღარ იქნება...

ამ მატჩის შემყურე, უნებლიედ ჩემპიონატში მონაწილე გუნდების რაოდენობაზე დაფიქრდები. კარგია, რა თქმა უნდა, კარგია, რომ იტყვის, აი, მუნდიალზე ვყოფილვარ, ბურთი გამიგორებიაო, მაგრამ ამით ჩვენ რა...

ასეა თუ ისე, ქართველებმა ვიკითხოთ, თორემ ჩინეთმა თავისი ისტორიული, პირველი შეხვედრა გამართა. მეტოქეც არ ჰყოლია ვარსკვლავთმხვეჭელი, მაგრამ კოსტარიკელები კლასით, რამდენიმე გოჯით სჯობდნენ. სწორედ ამის ხარჯზე მოიგეს კიდეც „ტიკოებმა" (კოსტარიკელთა მეტსახელია).

თამაში ისე დაიწყო, მეოცე წუთამდე ცალი თვალითაც შეიძლებოდა ყურება. პირველად მაურისიო სოლისმა შეაფუცხუნა ჯიან ჯინი, მერე კი პაულო ვანჩოპემ თავურით ოდნავ ააცილა.

რა გასაკვირია, არაზუსტი პასების ალუმში საგოლე მომენტები რომ არ იქმნებოდა არც ერთ კართან. კოსტარიკელები რაღაც მოთენთილნი ჩანდნენ, მხოლოდ რონალდ გომესი გამოირჩეოდა და პირველი ნახევრის მიწურულს გაუშინაურდა ჩინელთა საჯარიმოს. ერთ ეპიზოდში „დახაზა" კიდეც საჯარიმოში, მაგრამ ბოლო პასი აღარ გამოუვიდა.

მეორე ტაიმი გულსაკლავი ფეხბურთით შემოიჭრა. არც კარში დარტყმა, არც კარისკენ და არც წესიერი პასი — ბურთი ცენტრის ხაზზე აქეთ-იქით დაფრინავდა. იმ მომენტში ჩოგბურთისგან განსხვავებასაც ვერ იგრძნობდით. მოკლედ, დაიწვა ჯიგარი.

ჩინელები კარლოს კასტროს შორეულმა დარტყმამ გამოაცოცხლა. ამას მოჰყვა ჩენ იანგის სახიფათო გასროლა არცთუ მახვილი კუთხიდან, მაგრამ ერიკ ლონისი მშვიდად იდგა კარში — ჩინელმა ააცილა.

ალეშანდრე გიმარაეშმა იგრძნო, რომ მის გუნდი გამოცლილ, თამაშის დამლაგებელ კაცს ითხოვდა, ასეთი კი მას 34 წლის ერნან მედფორდი ჰყავს, რომელიც შეუშვა კიდეც მოედანზე. „ტიკოებმა" ნელ-ნელა სათავისოდ მოათვინიერეს ბურთი, ხოლო მეტოქე უფრო და უფრო უსუსური გახდა.

ისევ გამოცოცხლდა გომესი და ვანჩოპე ლამის პირისპირ შეჰყარა ჯიან ჯინს. კოსტარიკელს ვუ ჩენგიანგმა წამით დაასწრო და ვითარებაც განმუხტა.

ეს იყო და „ტიკოებმა" იძალეს. ჩინური ხალხმრავლობა მათ შეტევებს ველარ უმკლავდებოდა. რონალდ გომესმა ქუსლით გაუთამაშა პაულო ვანჩოპეს, ბურთი ისევ მიიღო, საჯარიმოშიც შესრიალდა და ზუსტადაც დაახალა. ჯიან ჯინი კი არა, მართლა ჯინიც არ იყო იმ დარტყმულის მომგერიებელი.

გომესი იშტაზე მოვიდა, რასაც ფინტების ბული მოჰყვა, თუმცა ბოლოს თვითონვე აიხლართა თავის დაწყებულ საქმეში.

მეორე გოლი მაინც კარიბელთა მეთერთმეტე ნომრის ჩარევით გავიდა. კუთხურიდან მიღებული ბურთი კარისკენ ზურგით მდგომმა მყის შეაბრუნა და ახლო ძელთან ალურსულმა მაურისიო რაიტმა ჯინი მეორედ დაალონა.

თუ რომელიმე გულშემატკივარმა ეს მატჩი შემთხვევით ვიდეოფირზე ჩაიწერა, სხვა რამეს ნუ გადააწერთ, უყურეთ ძილის წინ, ტკბილად დაგეძინებათ.

## მატჩის შემდეგ

### ალეშანდრე გიმარაეში
*კოსტა რიკის ნაკრების მწვრთნელი*

ვიცოდით, რომ ჩინეთი სუსტი გუნდი არ იყო, ეს პირველმა ტაიმმაც დაადასტურა. თუმც გატანის შანსს ველოდით და გამოვიყენეთ კიდეც. უმეტეს კომპონენტში ვაჯობეთ მეტოქეს და ვიმედოვნებ, კიდევ მოვუმატებთ.

მოგებით დაწყება კარგია. 1990 წელს იტალიაშიც ასე მოხდა. ახლა თურქეთთან მატჩზე ვფიქრობთ. ბრაზილიასთან შეხვედრამდე, საქმე მოთავებული უნდა გვქონდეს.

### ბორა მილუტინოვიჩი
*ჩინეთის ნაკრების მწვრთნელი*

ვგრძნობდი, რას განიცდიდა მთელი ჩინეთი ამ მატჩისას. ათასობით მათგანმა დიდი ხარჯი გასწია, აქ რომ ყოფილიყო. გამუდმებით მათზე ვფიქრობდი, თუმც, სამწუხაროდ, იმედი ვერ გავუმართლეთ. შევეცდებით, ეს მომდევნო მატჩებში გავაკეთოთ.

## სტენოგრამა

**მე-5 წუთი:** ჟილბერტო მარტინესის 22 მეტრიდან დარტყმულს მეკარე იოლად გაუმკლავდა.

**მე-6 წუთი:** პაულო ვანჩოპეს სახიფათო გადაცემას არავინ გამოეხმაურა.

**მე-19 წუთი:** საჯარიმოში შეჭრილ ჩენ იანგის მცველმა აჯობა, ბურთი კუთხურზე მოიგერია.

**მე-20 წუთი:** მაურისიო სოლისმა სახიფათოდ დაარტყა, მაგრამ მეკარემ იყოჩაღა.

**28-ე წუთი:** პაულო ვანჩოპეს თავური კარს ასცდა.

**36-ე წუთი:** რონალდ გომესის სახიფათო დარტყმა არაზუსტი გამოდგა.

**მე-40 წუთი:** ჩენ იანგის დარტყმულს მეკარე იოლად დაეუფლა.

**56-ე წუთი:** ჩენ იანგი კვლავ სახიფათოდ დაემუქრა კოსტარიკელთა კარს, თუმც მიზანი ვერც ამჯერად გაისწორა.

**61-ე წუთი:** პაულო ვანჩოპეს ბურთი გაექცა, მაგრამ საჯარიმოს წინა ხაზთან რონალდ გომესმა მოუსწრო, მისი მოჭრილი დარტყმა კი უნაკლო იყო. ანგარიში გაიხსნა.

**65-ე წუთი:** კუთხურიდან გათამაშებული ბურთი რონალდ გომესმა მაურისიო რაიტს თავზე დაასვა და — 2:0

**69-ე წუთი:** ხუი იუნლონგმა სახიფათოდ, თუმც არაზუსტად დაარტყა მეტოქის კარისკენ.

**86-ე წუთი:** კარლოს კასტროს კარგი მომენტი შეექმნა, მაგრამ უხეიროდ მოუქნია.

**90-ე წუთი:** საჯარიმოში შეჭრილმა როლანდ გომესმა მეკარე მოატყუა, მცველიც ჩამოიშორა და კარში დაარტყა, სადაც ბურთს კიდევ ერთი ჩინელი დახვდა.

### სატურნირო ვითარება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოსტა რიკა | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ბრაზილია | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| თურქეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| ჩინეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |

პაატა კვანტალიანი

# ირბინე მეტოქის წაქცევამდე!



ირჟი დუდეკს კორეელებმა ადგომის ხალისი დაუკარგეს

REUTERS

**სიტყვის კაცი** ყოფილა გუს ჰიდინკი. მუშა კორეელთა ჰოლანდიელმა მწვრთნელმა პოლონელებთან მატჩისწინა დაპირება ზედმიწევნით შეასრულა. გავიხსენოთ, რას ამბობდა ჰიდინკი: ფიზიკურად ძლიერები ვართ, საერთოდ არ დავიღლებით, მეტოქეს წნეხში მოვაქცევთ, ამოსუნთქვის საშუალებას არ მივცემთო. მატჩის წინ ჰიდინკმა კორეელ ქომაგთა გულის საამებლად დასძინა, პოლონელებს უეჭველად მოვუგებთო. რაღა გასაკვირია, ასეთი რანგის ტურნირზე კორეელთა გაქანების ნაკრების მწვრთნელისგან ასეთი სიტყვები ბევრს გადამეტებულად მოეჩვენა, მაგრამ თურმე იცოდა ჰიდინკმა, რასაც ამბობდა...

ოთხი წლის წინ საფრანგეთში გამართულ მუნდიალზე კორეელთა დამაქცევარი კაცი, პოლონელების ძლევის შემდეგ დღეს ლამის ეროვნულ გმირად შერაცხონ კორეაში. ექვს წელზე მეტი ელოდა საფეხბურთო მასშტაბით არცთუ დიდი კორეა ამ დღეს. ხუმრობა ხომ არაა — ჩემპიონატის თანამასპინძლებმა სადებიუტო მატჩში ჯგუფის ერთ-ერთი ფავორიტი ჩაყლაპეს და დიდი ნაბიჯი გადადგეს მერვედფინალისკენ.

კორეამ სირბილით გადაუარა პოლონეთს — სირბილით და მწვრთნელის განსწავლულობით. თავიდან თუ კორეელთა უთავბოლო სირბილი ერთობ ქაოსური ჩანდა, აზიელთა გიჟობაში თანდათან საფეხბურთო რამერუმეებსაც ამოიკითხავდა კაცი. მერე და მერე კი პოლონეთს ხიქა საბოლოოდ გაძვრა და მასპინძლებმა მეტოქის კარისკენ ლაღად გაიწიეს — ევროპელთათვის მწარე, მაგრამ ჭკუის სასწავლებელი გაკვეთილიც შედგა.

პაველ კრიშალოვიჩი რომ სამეორეტაიმო კაცი არაა, ამ მატჩმაც დაადასტურა. ეგებ, ნაყოფიერი გამომდგარიყო პოლონელთათვის, მწვრთნელს თავიდანვე რომ შეეწყვილებინა ოლისადებესთვის. შაკანიან გაპოლონელებულზე ლაპარაკი კი აქვე მოვილიოთ და ვთქვათ, რომ საწყისი ათი წუთის გარდა ის ფარადაკარგულ ცხვარს ჰგავდა.

პოლონელებმა მატჩის მძლავრად დაწყება კი სცადეს, მაგრამ ხუთწუთიან ინტერვალში ჯერ კრჟინოვეკს, მერე კი კოზმინსკის საგოლედ ოსტატობა არ ეყოთ. თავის მხრივ სასტარტო მღელვარება მიუნგ-ბო ჰონგმაც ვერ დაძლია — დაუცველ საჯარიმოში შესვლის ნაცვლად შორიდანვე მოიქნია არაზუსტად.

მერე კი პოლონელებს ის კოზირიც გაუხუნდათ, რითაც მატჩის წინ თავს იწონებდნენ — ხუხულასავით დაინგრა მითი შალკეელი ტომაშების — ვალდოხის და ჰაიტოს საიმედოობა. განსაკუთრებით აჭრილი ჰაიტო იყო. ბურთისართმევაშიც ჩაფლავდა, ზონასაც ხშირად ტოვებდა და პოლონელებსაც უფრო და უფრო მეტი ხიფათი ექმნებოდათ სხარტი კორეელებისგან.

მასპინძელთა გეგმაზომიერმა დაწოლამ 26-ე წუთზე შედეგიც გამოიღო. დუდეკმა ეულ-იონგ ლის ჩინებული პასის შემდეგ ვერაფერი მოუხერხა სუნ-ჰონგ ჰვანგის დარტყმულ ბურთს.

პოლონელებმა გათანაბრება ძველი სქემით — თავისი ნახევრიდან ბურთის მეტოქის საჯარიმოსკენ გადაგდებით სცადეს, მაგრამ რაღა გასაკვირი იყო, რომ ამ მარტივ სვლას სხარტმა კორეელმა ჩამშლელებმა ადვილად აუღეს ალღო.

კორეა შესვენების შემდეგაც ქინიანი იყო. მასპინძლებმა მეორე გოლამდეც არაერთხელ დაზაფრეს დუდეკი, მერე კი სანგ-ჩულ იოომ ჰაიტო გამოიჭირა შეცდომაზე, ვალდოხიც არ გაიკარა და მოხდენილი დარტყმით პოლონელებს საამმატჩო მოტივაცია დაუკარგა.

ჰიდინკისთვის ამ მატჩის მოგება უკვე ფორმალობად იქცა. გონიერმა ჰოლანდიელმა შეცვლებიც სწორად გააკეთა. განსაკუთრებით პერუჯელი იუნგ-ჰვან ანის გამოჩენამ წაახდინა სტუმრები. ამ ფეხბურთელმა იმდენი იმუშავა, გოლს ნაღდად იმსახურებდა, მაგრამ გვიან გამოფხიზლებული დუდეკის თავგანწირვამ პოლონელები დიდი ანგარიშით მარცხისგან იხსნა.

## კორეა-იაპონია 2002
## D ჯგუფი. I ტური

## №14 ს. კორეა 2:0 პოლონეთი

4 ივნისი. პუსანი (კორეა). 16.30 „პუსან სთადიუმ". 48 760 მაყურებელი

1:0 ჰვანგი (26), 2:0 იოო (53)

1 ჯ. ლი

მწვრთნელი
გუს ჰიდინკი

4 ჩოი — 20 მ. ჰონგი — 7 ტ. კიმი

22 ჩ. სონგი — 5 ნ. კიმი — 6 იოო — 13 ე. ლი

18 ჰვანგი — 21 პარკი — 9 სეოლი

11 ოლისადებე — 19 ჟურავსკი

18 კრჟინოვეკი — 7 სვიერჩევსკი — 10 კალუჟნი — 21 კოზმინსკი

4 მიხალ ჟევლაკოვი — 6 ჰაიტო — 15 ვალდოხი — 20 ა. ბაკი

მწვრთნელი
ეჟი ენგელი

1 დუდეკი

შეცვლა: ჟურავსკი – 9. კრიშალოვიჩი (46), ჰვანგი – 19. ანი (50), ბაკი – 2. კლოსი (51), იოო – 14. ჩ. ლი (61), კალუჟნი – 14. მარჩინ ჟევლაკოვი (65), სეოლი – 16. დ. ჩა (90)

გაფრთხილება: კრჟინოვეკი (31), პარკი (74), ჰაიტო (79), სვიერჩევსკი (85), ჩა (90)

მსაჯები: ოსკარ რუისი (კოლუმბია); ელისე დორიერი (ვანუატუ), ლეიფ ლინდბერგი (შვედეთი)

| | | |
|---|---|---|
| 16 | ჯარიმა | 22 |
| 10 | კუთხური | 2 |
| 7 | კარისკენ დარტყმა | 3 |
| 15 | კარში დარტყმა | 9 |
| 1 | თამაშგარე | 6 |

## მატჩის შემდეგ

**ირჟი ენგელი**

*პოლონეთის ნაკრების მწვრთნელი*

მეტოქე ძლიერი და კარგად ორგანიზებული იყო. მისი დამარცხება ნებისმიერ გუნდს გაუჭირდება. ჩვენც დიდი ბრძოლა გადავიტანეთ, მაგრამ სამხრეთკორეელები გაცილებით სწრაფები აღმოჩნდნენ და სამწუხაროდ, მარცხი ვიწვნიეთ. სხვა გზა აღარ გვაქვს, დარჩენილი თამაშები უნდა მოვიგოთ.

**გუს ჰიდინკი**

*სამხრეთ კორეის ნაკრების მწვრთნელი*

მთავარი აქცენტი შეტევაზე გავაკეთეთ და ამ ტაქტიკამ გაგვიმართლა. პირველივე მატჩში გამარჯვება კარგია, ახლა შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი გაგვიორმაგდა.

იმიტომ მოვიგეთ, რომ მეტოქეზე ნაკლები შეცდომა დავუშვით. ფეხბურთი ხომ შეცდომებზეა აგებული. იგებს ის, ვინც ნაკლებად ცდება.



ტომაშ ჰაიტო კი-ჰეონ სეოლს ვერ გაუმკლავდა

REUTERS

## სტენოგრამა

**მე-2 წუთი:** იაცეკ კრჟინოვეკი ემანუელ ოლისადებეს პასით საჯარიმოში შეიჭრა, მაგრამ არაზუსტად დაარტყა.

**მე-5 წუთი:** მაცეი ჟურავსკის სახიფათო გადაცემას მარეკ კოზმინსკი ვერ მისწვდა.

**მე-10 წუთი:** მიუნგ-ბო ჰონგის დარტყმულს მცველები აეფარნენ და კუთხურზე მოიგერიეს. კუთხურიდან ჩაწოდებულს კი კი-ჰეონ სეოლის მძლავრი თავური და მეკარის ყოჩაღობა მოჰყვა.

**მე-12 წუთი:** საჯარიმოში შეჭრილმა ემანუელ ოლისადებემ ერთი მცველი კი ჩამოიშორა, მაგრამ მეორეს ვერაფერი მოუხერხა.

**მე-14 წუთი:** კი-ჰეონ სეოლის გასროლილს პოლონელი მცველი გადაელობა.

**მე-16 წუთი:** პიოტრ სვიერჩევსკის დარტყმა ოდნავ ასცდა კარს.

**მე-20 წუთი:** სანგ-ჩულ იოოს უძლიერესმა დარტყმულმა ძელს ახლოს ჩაუქროლა.

**26-ე წუთი:** ეულ-იონგ ლის პასს სუნ-ჰონგ ჰვანგმა ფეხი დაუხვედრა და ულამაზესი გოლიც გაიტანა.

**49-ე წუთი:** კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს ჯი-სუნგ პარკმა დაარტყა მახვილი კუთხიდან, მაგრამ ირჟი დუდეკმა იმარჯვა.

**53-ე წუთი:** 20 მეტრიდან სანგ-ჩულ იოოს უზუსტესი დარტყმული მეორე გოლად იქცა.

**64-ე წუთი:** ჩუნ-სიოო ლის გასროლილი გარედან მოხვდა დუდეკის კარის ბადეს.

**78-ე წუთი:** იუნგ-ჰვან ანიმ მცველი მოატყუა და კარშიც დაარტყა. ბურთი ოდნავ ასცდა მიზანს.

**84-ე წუთი:** იუნგ-ჰვან ანის დარტყმულს ამჯერად ირჟი დუდეკი გადაელობა.

**87-ე წუთი:** კუთხურიდან ჩაწოდებულს კვლავ იუნგ-ჰვან ანიმ დაუხვედრა თავი, მაგრამ უშედეგოდ.

**89-ე წუთი:** იუნგ-ჰვან ანის დარტყმული ირჟი დუდეკმა გაჭირვებით მოიგერია.

**90-ე წუთი:** ჯი-სუნგ პარკს კიდევ მიეცა რეალური შანსი, მაგრამ უხეიროდ დაარტყა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კორეა-იაპონია 2002
## H ჯგუფი. I ტური

# №13 იაპონია 2:2 ბელგია

4 ივნისი. საიტამა (იაპონია). 14.00 „საიტამა სთადიუმ". 55 256 მაყურებელი

0:1 ვილმოტსი (57), 1:1 სუზუკი (59), 2:1 ინამოტო (68), 2:2 ვან დერ ჰიდენი (75)

12 ნარაზაკი

მწვრთნელი ფილიპ ტრუსიე

3 მაცუდა — 4 მორიოკა — 16 ტ. ნაკატა

21 ტოდა — 5 ინამოტო

22 იჩიკავა — 18 ონო

7 ჰ. ნაკატა

13 იანაგისავა — 11 სუზუკი

7 ვილმოტსი — 11 ვერჰეინი

10 ვალემი

8 გოორი — 18 ვანდერეჰგე

6 სიმონსი

12 ვან დერ ჰიდენი — 4 ვან მეირი — 16 ვან ბუიტენი — 15 პეეტერსი

მწვრთნელი რობერ ვასეჟი

1 დე ფლიგერი

შეცვლა: ონო – 14. ალექსი (64), ვალემი – 9. სონკი (70), სუზუკი – 8. მორიშიმა (70), მორიოკა – 17. მიამოტო (72), ვერჰეინი – 20. შტრუპარი (83)

გაფრთხილება: ვან დერ ჰიდენი (21), ტოდა (31), ინამოტო (54), ვერჰეინი (62), პეეტერსი (62), ვან მეირი (82)

მსაჯები: უილიამ მატუსი (კოსტა რიკა); ჰაიდარ კოლე (ლიბერია), იური დუპანოვი (ბელარუსი)

| | | |
|---|---|---|
| 29 | ჯარიმა | 29 |
| 2 | კუთხური | 4 |
| 4 | კარისკენ დარტყმა | 7 |
| 8 | კარში დარტყმა | 10 |
| 1 | თამაშგარე | 2 |


REUTERS

მარკ ვილმოტსმა ანგარიში კლასიკური „მაკრატლით" გახსნა


REUTERS

იუნიჩი ინამოტომ ბურთს ფეხი წაჰკრა და იაპონიას მსოფლიოს ჩემპიონატებში პირველი გამარჯვების იმედი მიეცა

# იაპონიაში ქულაც იძრა

**სოლომონ გულიაშვილი**

**უცნაური** თამაში გამოდგა. პირველი ნახევარი ისე მიილია, მოწინააღმდეგეებს ხეირიანი არაფერი შეუქმნიათ. თუ ბელგიელთაგან ასეთი ამბავი მოულოდნელი არ იყო, იაპონელებმა იმედი გაგვიცრუეს, ჩემპიონატის თანამასპინძელთაგან უფრო ქინიან თამაშს ველოდით, მაგრამ რაღაც უძარღვონი და თითქოს დაბნეულებიც იყვნენ. მწყობრად თამაშს ცდილობდნენ და არაფერი გამოსდიოდათ. ამასობაში ტრიბუნებზე იაპონელ ქომაგთა ქრიამული იჟაურობას აყრუებდა, მათი გუნდი კი ცოდვილობდა და გამოცდილ ევროპელებს ვერაფერს უპირისპირებდა.

იაპონიაში მართლაც საფეხბურთო ბუმია, ხალხს სტადიონზე მოხვედრა სურს, მაგრამ, აბა, ბილეთები ყველას როგორ ეყოფა და პრობლემაც ბუნებრივად ჩნდება. გუშინ დილით ერთმა შუახნის იაპონელმა სტადიონის სალაროს მიაკითხა და როცა უთხრეს, ბილეთები გათავდაო, ჯერ მოლარეს შეუტია, მერე კი შუშაც ჩაამტვრია. მოძალადე, ცხადია, მაშინვე პოლიციაში გააქანეს, მაგრამ ეს მაგალითი კარგად გვიჩვენებს, რა ხდებოდა გუშინ საიტამაში.

პირველ ტაიმში კი რა, ბრიუგელმა გერტ ვერჰეინმა ორჯერ სახიფათო თავური დაჰკრა, ერთხელ ბარტ გოორმაც გამოყო ფეხი, მაგრამ ეს არ იყო ნაღდი ფეხბურთი.

თამაში პირველი გოლის მერე გახალისდა და კარგ ჰოლივუდურ თრილერსაც დაემსგავსა. მეორე ტაიმის დასაწყისში სტუმართა 33 წლის კაპიტანმა მარკ ვილმოტსმა ვარდნაში ეფექტურად შეაგდო. ნაღდი ბელგიური გოლი გამოვიდა, ბენილუქსელებმა ძალისმიერად მიიტანეს ბურთი ვილმოტსამდე და მოსახდენიც მოხდა.

თითქოს ამას ელოდნენო, იაპონელებიც გამოფხიზლდნენ და მალევე უპასუხეს — ტაკაიუკი სუზუკის გოლი ბელგიელთა დაცვისა და მეკარის შეცდომას მოჰყვა. გავიტანეთო და თანამასპინძლებმა მოძრაობასაც უმატეს, იატუში იანაგისავამ ხომ იმდენი ირბინა, კაცს ეგონებოდა, არასოდეს დაიღლებაო. მოკლედ, დიდი ამბები დაიწყო.

ფილიპ ტრუსიეს ბიჭების მიძალებას უშედეგოდ არ უნდა ჩაევლო და აკი, მეორეც შეაგდეს. ინგლისური „არსენალის" ნახევარმცველმა იუნიჩი ინამოტომ ბელგიელ მცველებს დიდი სისწრაფით ჩაურბინა და თავისიანები დააწინაურა. თუმცა იაპონელ გულშემატკივართა ზეიმი ნაადრევი გამოდგა. მართალია, ბელგიელებს დაცვაში უჭირდათ, მაგრამ ამ ხაზში არც იაპონელები ბრწყინავდნენ. ერთ ეპიზოდში ხელოვნური თამაშგარეს შესრულება მოინდომეს, მაგრამ მოწინააღმდეგესთან ბელგიურივე იარაღით გამკლავება არ გამოუვიდათ, პეტერ ვან დერ ჰიდენი გაეპარათ და მეორე საპასუხოც მიიღეს, ბრიუგეს ნახევარმცველმა მეკარე სიეგო ნარაზაკის ბურთი თავზე გადაუგდო.

ბოლო წუთებში კი რამდენიმე საკამათო ეპიზოდიც მოხდა, იაპონიას გოლი არ ჩაუთვალეს, ინამოტომ თითქოს სუფთად გაიტანა, მაგრამ...

მერე მსაჯს ორივე კარში პენალტის დანიშვნაც შეეძლო, თუმცა კოსტარიკელ არბიტრს უხეში შეცდომა არ დაუშვია. სამივე ისეთი ეპიზოდი იყო, უილიამ მატუსს ვერაფერში შეედავებოდით.

როგორც იტყვიან, თამაში სამართლიანი ფრით დამთავრდა, ორივე გუნდს ეკუთვნოდა თითო ქულა და მიიღეს კიდეც. აკი, თანამასპინძელ იაპონელებსაც არ ჩამოუყრიათ ყურები, მატჩის შემდეგ ფრიად მხიარულ გუნებაზე ბრძანდებოდნენ და არც გულშემატკივრებს წახდენიათ ხასიათი. უბრალო მოკვდავთ თავი დაანებეთ და ლოჟაში მყოფი თავად ქვეყნის პრემიერ-მინისტრი იუნიჩირო კოიზუმიც ერთთავად იღიმებოდა და გარშემომყოფთ თავაზიან მისალმებებს უძღვნიდა.

ახლა მოკლე რეზიუმეც გავაკეთოთ.

## მატჩის შემდეგ

**ფილიპ ტრუსიე**
**იაპონიის ნაკრების მწვრთნელი**

ეს ქულა ისტორიულია იაპონიისთვის, რადგან პირველია მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში. ბელგია კარგი გუნდია, თუმც მოსაგებად ვიბრძოდით ჩვენი კოზირებით, ხარვეზებით და გამოცდილებით. ვეცადეთ, გულშემატკივრისთვის გვეჩვენებინა, რომ შემტევი ფეხბურთის თამაში შეგვიძლია, რაც, ვფიქრობ, კარგად გამოგვივიდა. ახლა მჯერა, რომ ყველაფერია შესაძლებელი, თუ ბოლომდე იბრძოლებ.

**რობერ ვასეჟი**
**ბელგიის ნაკრების მწვრთნელი**

ანგარიშით კმაყოფილი ვარ. მიუხედავად იმისა, რომ პირველებმა ჩვენ გავიტანეთ, შესაძლებელი იყო, წაგვეგო. იაპონელებმა შესაშური გამძლეობისა და სისწრაფის ხარჯზე მოახერხეს დაწინაურება, თუმც ერთიცაა: გადაჭედილი ტრიბუნები დიდი ძალაა, ყველა იაპონიას ქომაგობდა, ეს ფაქტორი გაცილებით მეტია, ვიდრე მე-12 ფეხბურთელი.

შემდეგ ეტაპზე გასვლის კარგი შანსი გვაქვს. იაპონელები ბევრს გაამწარებენ.

ბელგიელთა მთავარი პრობლემა ის იყო, რომ მათი ასაკოვანი მცველები ხშირად ზანტად და შეუთანხმებლად მოქმედებდნენ, შედეგად მარდი იაპონელების შეტევებსაც ძლივს იგერიებდნენ, თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ უკანა ხაზში ორი მთავარი კაცი — გლენ დე ბოუკი და ნიკო ვან კერკჰოვენი აკლდათ, რომლებიც, ალბათ, ტუნისთან მომავალი მატჩისთვის მწყობრში იქნებიან და პრობლემაც მეტნაკლებად მოეხსნებათ. იაპონელების მინუსი კი ის გახლდათ, რომ დაცვიდან დროულად ვერ გამოჰქონდათ ბურთი, მოგერიებაზე თამაშმა კი ორჯერ უმტყუნათ და გოლებიც მიიღეს.

ასე თუ ისე, 4 ივნისი იაპონელთათვის მაინც ისტორიულ დღედ შეიძლება ჩაითვალოს, მათ ხომ მსოფლიოს ჩემპიონატებზე პირველი ქულა მოიპოვეს.

## სტენოგრამა

**მე-19 წუთი:** კაზუიუკი ტოდას 25 მეტრიდან დარტყმული ზემოდან გადასცდა კარს.

**23-ე წუთი:** პეეტერსის ჩაწოდებულს გერტ ვერჰეინის არაზუსტი თავური მოჰყვა.

**29-ე წუთი:** ბარტ გოორმა საჯარიმოში ჩააწოდა, მარკ ვილმოტსის თავური სეიგო ნარაზაკიმ გააუვნებლა.

**36-ე წუთი:** ტაკაიუკი სუზუკის დაგორებულს ჰიდეტოში ნაკატამ უზუსტოდ დაჰკრა — ბურთი კარს ასცდა.

**37-ე წუთი:** ბარტ გოორის დარტყმულმა სანტიმეტრებში ჩაუქროლა ძელს.

**57-ე წუთი:** ბარტ გოორმა მაღალი ბურთი ჩაჰკიდა. მარკ ვილმოტსმა დრო იხელთა და ულამაზესი მაკრატელათი ანგარიში გახსნა.

**59-ე წუთი:** ტაკაიუკი სუზუკიმ ბელგიელი მცველის შეცდომით ისარგებლა და მეკარესთან პირისპირ გასულმა ჭვინტით გაათანაბრა.

**68-ე წუთი:** იუნიჩი ინამოტომ ორი მცველი ჩამოიშორა და საჯარიმოში შესულმა უძლიერესი დარტყმით დალაშქრა გერტ დე ფლიგერის კარი.

**75-ე წუთი:** იაპონელთა დაცვის ჩაძინებით პეტერ ვან დერ ჰიდენმა ისარგებლა და მეკარეს თავზე გადაუგდო ბურთი — 2:2.

**84-ე წუთი:** უესლი სონკის სახიფათო დარტყმული სეიგო ნარაზაკის ნადავლი გახდა.

**86-ე წუთი:** იუნიჩი ინამოტომ ორი მცველი მოატყუა და მეკარისგან ახლო კუთხეში შეაგდო, თუმც მანამდე მსაჯმა იაპონელის მხრიდან წესის დარღვევა დააფიქსირა და გოლი არ ჩათვალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კორეა-იაპონია 2002
## ანონსი. I ტური. D ჯგუფი. №16

### აშშ — პორტუგალია

SOCCER

დღეს. სუვონი (კორეა). „სუვონ უორლდ კაფ სთადიუმ". 14.00

**სავარაუდო შემადგენლობები**

| აშშ | პორტუგალია |
|---|---|
| კელერი, სანე, პოპი, აგოსი, პეიდუკი, რეინა, სტიუარტი, ჯ. ობრაიენი, ბესლი, მაკბრაიდი, მეტისი | ვიტორ ბაია, ნუნუ ფრეშაუ, ჟორჟე კოშტა, ფ. კოუტუ, რუი ჟორჟე, ა. პეტი, კონსეისაუ, ფიგუ, რუი კოშტა, პაულეტა, ჟოაუ პინტუ |
| მწვრთნელი: ბრიუს არენა | მწვრთნელი: ანტონიუ ოლივეირა |

მსაჯი: ბაირონ მორენო (ეკვადორი)

# გვახსოვს საფრანგეთი
## ამერიკა სენეგალით იმუქრება

**მსოფლიოს ჩემპიონატზე** პორტუგალიელთა 16-წლიანი უქმობა დღეს დასრულდება. ჯგუფის ფავორიტ ნიჭიერ ევროპელებს აშშ-ის დამარცხება მოუწევთ გაცემული ავანსების გასანაღდებლად. ლუიშ ფიგუ, მანუელ რუი კოშტა, ჟოაო პინტუ, ფერნანდო კოუტუ, პაულეტა, ნუნუ გომეში... რა გასაკვირია, ამათმა ქომაგმა უპირობო გამარჯვება მოითხოვოს ჯგუფის აუტსაიდერად მონათლულ იანკებთან. ჰოდა, ფეხბურთელებიც გულს უმაგრებენ გულშემატკივრებს, არ შეგარცხვენთ, ჩვენით კიდევ ბევრჯერ გაიხარებთო, ამბობენ.

— ამერიკელებს ევროპაში გამობრძმედილი ბევრი კარგი ფეხბურთელი ჰყავთ. ისინი ჩვენგან პატივისცემას იმსახურებენ, მაგრამ მაინც დავჩაგრავთ და ეჭვიც არ მეპარება, გამარჯვება ჩვენ დაგვრჩებაო, ამბობს ნუნუ გომეში.

რუი კოშტა კი ჩემპიონატის გახსნის მატჩს უტრიალებს: ფრანგებმა სენეგალთან წააგეს და ეს უდიდესი სენსაცია იყო, მაგრამ ეს იმის არგუმენტი არაა, რომ სენსაცია ჩვენს მატჩშიც გამოცხვეს. ფავორიტთაგან ჩვენ ყველაზე მეტი დრო გვქონდა საფრანგეთ — სენეგალის მატჩში მომხდარის გასაანალიზებლად და ისეთი შემართებით ვითამაშებთ, რომ ფავორიტის გამარჯვებას საეჭვოს არ გავხდით — იქადნება მილანელი გამთამაშებელი, რომელმაც სეზონი ტრავმის გამო ჩააგდო, მაგრამ სამუნდიალოდ, როგორც ირწმუნებიან, ჩინებულ ფორმაშია, ისევე როგორც ტრავმისავე გამო გაზაფხულზე თითქმის უთამაშებელი ფიგუ. თქმა არ უნდა, ამ ორზე ბევრი რამ არის დამოკიდებული.

ჩემპიონატის გახსნის მატჩს ამერიკელებიც მალიმალ ახსენებენ, ოღონდ აქცენტს, ცხადია, განსხვავებულად სვამენ.

„აფრიკელებმა დაამტკიცეს, რომ თანამედროვე ფეხბურთში ფავორიტი ზოგადი ცნებაა. აღტაცებული ვარ სენეგალით და ვიმედოვნებ, რომ მორიგი სენსაციის ავტორი ჩემი გუნდი გახდება" — თქვა აშშ-ის მწვრთნელმა ბრიუს არენამ.

მწვრთნელის სიტყვები ოკეანისგაღმელებს რეპუტაციას რომ ვერ აუწევს,



ლუიშ ფიგუ ბურთს შეუშინდა

ფაქტია. წინა ჩემპიონატი ამერიკელებმა ჯგუფში სამივე მატჩის წაგებით ჩააფლავეს და საფრანგეთში ჩასული ნაკრებებიდან ყველაზე სუსტები იყვნენ. ამერიკელებს შლოგინით არც ბოლო შესარჩევი ეტაპი გაუვლიათ და, რაც მთავარია, მოედანზე გამორჩეული საქმეების კეთებას ჯერაც დაუჩვევლნი არიან. ეგაა, არენას გუნდი საფეხბურთო დისციპლინითაა გამორჩეული და გუნდური სულისკვეთებით ცდილობს ფონს გასვლას. მაგრამ, საერთო აზრით, ეს ნაკრები მხოლოდ ჯგუფურ მატჩებს უნდა დასჯერდეს. მიუხედავად ამისა, ბრიუს არენა ჯიუტად გაიძახის, სამი მატჩის სათამაშოდ არ გაგვივლია ამხელა გზაო.

დღევანდელ მატჩში იანკებს ყველა ფეხბურთელი მწყობრში ჰყავთ, მათ მეტოქეს კი ძირითადის ორი კაცი არ ეყოლება. ევროპელთათვის განსაკუთრებით მტკივნეული აბელ შავიერის ტრავმაა. თმაყვითელმა მცველმა ვარჯიშზე კუნთი გაიწყვიტა და მას, სავარაუდოდ, ნუნუ ფრეშაუ შეცვლის. პორტუგალიელებს ნახევარდაცვაში პაულო სოუზა დააკლდებათ. ეს ფეხბურთელი მყესს შეუწუხებია.

ბოლოს ისიც ვთქვათ, რომ პორტუგალია 4-1-3-2 სქემით ითამაშებს, ანუ იმ ფორმატით, ნაყოფიერად რომ იჭენავა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე. ნაკრების მწვრთნელის ანტონიუ ოლივეირას გადაწყვეტილებით, თავდასხმის ხაზში ჟოაო პინტუ-პაულეტას წყვილი ითამაშებს.

**ბაატა ძვანტალიანი**

## აშშ VS პორტუგალია

| აშშ | | პორტუგალია |
|---|---|---|
| ბრედ ფრიდელი (193 სმ) | ყველაზე მაღალი ფეხბურთელი | აბელ შავიერი (189 სმ) |
| კობი ჯოუნსი (170 სმ), დამარკუს ბესლი (170 სმ) | ყველაზე დაბალი ფეხბურთელი | ჟოაუ პინტუ (171 სმ) |
| ტონი მეოლა (93 კგ) | ყველაზე მძიმე ფეხბურთელი | ჟორჟე კოშტა (86 კგ) |
| ედი ლუისი (71 კგ) | ყველაზე მსუბუქი ფეხბურთელი | ჟოაუ პინტუ (67 კგ) |
| ჯო-მაქს მური (24 გოლი) | ყველაზე შედეგიანი ფეხბურთელი | ლუიშ ფიგუ (27 გოლი) |
| კობი ჯოუნსი (155) | ყველაზე მეტი თამაში | ფერნანდუ კოუტუ (82) |
| 178.6 სმ | ფეხბურთელთა საშუალო სიმაღლე | 180.7 სმ |
| 74.95 კგ | საშუალო წონა | 76.87 კგ |
| 28.6 | საშუალო ასაკი | 28.2 |
| დამარკუს ბესლი (20 წლის) | ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი | უგო ვიანა (19 წლის) |
| ჯეფ აგოსი (34 წლის) | ყველაზე ხნიერი ფეხბურთელი | პაულუ ბენტუ (32 წლის) |

## კორეა-იაპონია 2002
## ანონსი. II ტური. E ჯგუფი. №17

### გერმანია — ირლანდია

დღეს. იბარაკი (იაპონია). „იბარაკი კაშიმა სოკერ". 16.30

**სავარაუდო შემადგენლობები**

| გერმანია | ირლანდია |
|---|---|
| კანი, რემერი, რამელო, ლინკე, ფრინგსი, ჰამანი, შნაიდერი, ციგე, ბალაკი, კლოზე, იანკერი | გივენი, გ. კელი, ბრინი, სტონტონი, ჰარტი, მაკატირი, ჰოლანდი, კინსელა, კილბეინი, დ. დაფი, რობი კინი |
| მწვრთნელი: რუდი ფიოლერი | მწვრთნელი: მიკ მაკარტი |

მსაჯი: კიმ-მილტონ ნილსენი (დანია)

# მაკარტიმ გერმანიას საუდეთი დაუწუნა



მარკო რემერისთვის ჩემპიონატი მეორე ტურში დაიწყება

**ირლანდიას** პირველ ტურში გერმანიასავით არ უქშიტინებია, მაგრამ კამერუნთან საკმაოდ გამართული ფეხბურთი აჩვენა და აშკარაა, რომ გერმანიას მიკ მაკარტის გუნდთან რთული ბრძოლა გადახდება.

სამგზის მსოფლიოს ჩემპიონები, რომლებმაც მათთვის სარეკორდო ანგარიშით დათრგუნეს საუდელი არაბები, უმალ ჯგუფის ფავორიტებად იქცნენ — მანამდე გერმანელებს ბევრნი ჩემპიონატის კი არა, ჯგუფის ფავორიტადაც არ განიხილავენ.

„კარგად გვესმის, რომ ირლანდია საუდეთზე გაცილებით ძლიერი მეტოქეა, მაგრამ მჯერა, შანს გამოვიყენებთ. ჩვენ უბრალოდ იძულებულნი ვართ, ჯგუფიდან გავიდეთ" — განაცხადა რუდი ფიოლერის თანაშემწე მიხაელ სკიბემ.

მაგრამ ირლანდიას როი კინი არ ჰყავს და ამ ამბავს კვლავ გამალებით უკირკიტებენ. მიმომხილველები მიიჩნევენ, როი კინი ის კაცია, რომლის აუცილებლობას მაკარტი სწორედ გერმანელებთან მატჩში მიხვდებაო.

„ჩვენ ისეთი შესარჩევი ჯგუფი მოვიტოვეთ უკან, რომელშიც პორტუგალია და ჰოლანდია იყვნენ და რისილა უნდა გვეშინოდეს? პირველ ტურში ჩვენი და გერმანიის მეტოქეებს შეხედეთ და ამით განსაჯეთ ვინ არის მართლაც ძლიერი?!" — აი, ასე შეაბრუნა კითხვა ირლანდიელთა მთავარსარდალმა და როი კინის ნაკრებიდან მომკვეთმა მიკ მაკარტიმ, რომელმაც ერთი კიდევ თქვა გერმანელებზე: „ჩვენ მათ პატივს ვცემთ და გერმანელებმა ეს დაიმსახურეს, მაგრამ როგორც კი თამაშში ბურთი გაგორდება, ეს პატივისცემაც გაქრება".

გერმანელთა თავკაცმა რუდი ფიოლერმა კი თქვა, კამერუნთან ირლანდიელთა ჯიგრიანმა თამაშმა ჩემზე შთაბეჭდილება მოახდინაო და საუდელთა გვემაზეც დასძინა: „იმ მატჩმა მხოლოდ სამი ქულა მოგვიტანა ისეთი გუნდის დამარცხებით, რომელიც ტურნირს, ალბათ, უმონაგროდ ჩაამთავრებს".

პრესკონფერენციაზე კითხვები ლივერპულელ გერმანელ დიტმარ ჰამანსაც დაუშინეს. ის ხომ პრემიერლიგელია და ბევრ ირლანდიელ ფეხბურთელს კარგად იცნობს. ხმელ-ხმელი და მაღალი ჰამანი მიიჩნევს, როი კინი რომ ახლა სამშობლოშია, ამან სამსახური უნდა გაუწიოს გერმანიასო.



მიკ მაკარტის გერმანიის ფავორიტობა სასაცილოდ არ ეყო

„ისეთი სასიცოცხლო მნიშვნელობის მოთამაშის არყოფნა, როგორიც როი კინია, ადრე თუ გვიან, ნაღდად მოახდენს უარყოფით ეფექტს" — დასძინა ჰამანმა.

გერმანელთა ბანაკში ის სიახლეა, რომ ფიოლერი გამარჯვებული გუნდის შემადგენლობის შეცვლას აპირებს — კრისტოფ მეცელდერს მარკო რემერი შეცვლის, რომელიც საუდელებთან მატჩისთვის საზარდულს იტკივებდა.

ირლანდიელებთან ცვლილებები მოსალოდნელი არ არის. კამერუნთან მსუბუქად დაშავებული შეი გივენი და ჯეისონ მაკატირი ჯანზე არიან.

ასტონვილელი სტივ სტონტონისთვის კი 5 ივნისი განსაკუთრებული დღეა — 33 წლის მცველი მე-100 მატჩს ითამაშებს ეროვნულ გუნდში.

-ყურადღებით! დღეს ტურნირამდე დაწუნებული გერმანიის რეალური ძალა უნდა შეფასდეს.

**დავით თავართქილაძე**

# დიახ, ჩემო პრეზიდენტო!

**კორეა-იაპონია 2002**
**ანონსი. I ტური. H ჯგუფი. №15**

## რუსეთი — ტუნისი

დღეს. კობე (იაპონია). „კობე ვინგ". 11.30

**სავარაუდო შემადგენლობები**

| რუსეთი | ტუნისი |
| --- | --- |
| ნიგმატულინი, სენიკოვი, ონოპკო, ნიკიფოროვი, კოვტუნი, სმერტინი, არპინი, ტიტოვი, მოსტოვოი, ბესჩასტნიხი, სიჩევი | ბუმნიჯელი, ბადრა, ჯაიდი, მარზუკი, ტაბეტი, ბენ სლიმანი, ბუაზიზი, ბეია, გოდბენე, სელიმი, ჯაზირი |
| მწვრთნელი: ოლეგ რომანცევი | მწვრთნელი: ამარ სუაიაჰი |

**მსაჯი: პეტერ პრენდერგასტი (იამაიკა)**

**იაპონიაში** გამგზავრების წინ რუს ფეხბურთელებს ქვეყნის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი შეხვდა და უთხრა: ჩვენ გვჯერა თქვენი, ქომაგობას არ მოგაკლებთ, თქვენგან კი გამარჯვებას ველითო. დღეს რუსებმა პირველად უნდა გაამართლონ „მაღალი ნდობა", თანაც მოწინააღმდეგეც ისეთი ჰყავთ, რომ... ტუნისი ხომ ჩემპიონატზე ერთ-ერთ უსუსტესად ითვლება. ამ ზამთარს აფრიკის ეროვნებათა თასზე ცუდი გამოსვლის შემდეგ ფრანგი მწვრთნელი ანრი მიშელი დაითხოვეს და გუნდი ერთ ხანს უთავკაცოდ იყო, მერე ადგილობრივ კაცს, 45 წლის ამარ სუაიას ჩააბარეს, თუმც ჩემპიონატამდე უკვე ცოტა დრო რჩებოდა და რას მოასწრებდა ამ მოკლე ხანში, დღეს გამოჩნდება. სუაიას თანაშემწე ხემე ლაბიდის, ზიად ჯაზირისა და ადელ სელიმის იმედი აქვს: „ჯაზირისგან სიურპრიზებს ველით — ამბობს ლააბიდი — ის ძალიან სწრაფია და გოლის გატანაც ეხერხება, ვფიქრობთ, თავისი აქტიურობით სელიმისაც დიდად დაეხმარება".

ჩრდილო-აფრიკელებს არ ეყოლებათ დაშავებული მცველი ემირ მკადემი, სასტარტოში ვერ მოხვდა გატუნისებული ბრაზილიელი კლეიტონიც, ვინც ნაკრებში პირველად 1998 წელს საქართველოს ეროვნული გუნდის წინააღმდეგ ითამაშა.

1978 წელს ტუნისი პირველი აფრიკული ქვეყანა გახდა, მსოფლიოს ჩემპიონატებზე გამარჯვება რომ მოახერხა და ახლაც იმავეს გამეორებაზე ოცნებობს, სტიმულიც აქვს, თუ ჯგუფიდან გავიდა, თითოეული ფეხბურთელი 42 ათას დოლარს მიიღებს.

რუსები კი, ცხადია, წყვილის ფავორიტები არიან. გუშინ გაირკვა, რომ ნახევარმცველი ალექსანდრ მოსტოვოიც ითამაშებს, ვისაც ბარძაყის ტრავმა აწუხებთ და ბოლო დღეებში მცირე დატვირთვით ვარჯიშობდა. მისი ხელტელი თანაგუნდელი ვალერი კარპინი კი პირველ მატჩს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს: „ტუნისთან მატჩში დადებითი შედეგი სამომავლოდ ძალიან წაგვადგება, ხასიათსაც გამოგვისწორებს და საკუთარი თავის რწმენასაც გაგვიძლიერებს. თუმცა სიფრთხილე ყოველთვის საჭიროა, ხომ შეიძლება პირველი თამაში მოვიგოთ და მერე ორი დარჩენილი მატჩი წავაგო? ასეთ რამეზე ფიქრიც კი არ მსურს."

თავდასხმაში რუსებს ბესჩასტნიხი და სიჩევი ეყოლებათ, 19 წლის ვარსკვლავი მარატ იზმაილოვი კი თავიდან სათადარიგოთა სკამიდან უცქერს მატჩს.

აი, ასეთი ამბებია „სიცოცხლის ჯგუფში".

**სოლომონ ბულისკერიძე**



ვლადიმირ პუტინი ნაკრებს შორიდან ქომაგობას დაჰპირდა

## რუსეთი VS ტუნისი

| რუსეთი | | ტუნისი |
| --- | --- | --- |
| ალექსანდრ ფილიმონოვი (194 სმ) | ყველაზე მაღალი ფეხბურთელი | რაჯი ჯაიდი (192 სმ) |
| მარატ იზმაილოვი (169 სმ) | ყველაზე დაბალი ფეხბურთელი | აშურ ბენ სლიმანი (170 სმ) |
| ალექსანდრ ფილიმონოვი (84 კგ) | ყველაზე მძიმე ფეხბურთელი | რაჯი ჯაიდი (89 კგ) |
| იგორ სემშოვი (64 კგ) | ყველაზე მსუბუქი ფეხბურთელი | იმედ მჰეჯები (69 კგ) |
| ვლადიმირ ბესჩასტნიხი (24 გოლი) | ყველაზე შედეგიანი ფეხბურთელი | ზუბეირ ბეია (18 გოლი) |
| ვალერი კარპინი (69) | ყველაზე მეტი თამაში | ზუბეირ ბეია (77) |
| 181.6 სმ | ფეხბურთელთა საშუალო სიმაღლე | 179.5 სმ |
| 70.08 კგ | საშუალო წონა | 76.34 კგ |
| 27.8 | საშუალო ასაკი | 27.08 |
| დმიტრი სიჩევი (18 წლის) | ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი | ალი ზიტუნი (21 წლის) |
| სტანისლავ ჩერჩესოვი (38 წლის) | ყველაზე ხნიერი ფეხბურთელი | ალი ბუმნიჯელი (36 წლის) |

**ბომბარდირები**

3 მიროსლავ კლოზე (გერმანია)

2 იონ დალ ტომასონი (დანია)
კრისტიან ვიერი (იტალია)

**წითელი ბარათი**

1 — ბორის ჟივკოვიჩი (ხორვატია), ალფაი ოზალანი (თურქეთი), ჰაქან უნსალი (თურქეთი)

**ყვითელი ბარათი**

2 — ჰაქან უნსალი (თურქეთი)

1 — ემანუელ პეტი (საფრანგეთი), ალიუ სისე (სენეგალი), იან ჰაინცე (დანია), მარტინ ლაურსენი (დანია), გუსტავო მენდესი (ურუგვაი), რაიმონ კალა (კამერუნი), ჯეისონ მაკატირი (ირლანდია), სტივ ფინანი (ირლანდია), სტივენ რიდი (ირლანდია), კრისტიან ციგე (გერმანია), დიტმარ ჰამანი (გერმანია), მოჰამედ ნოორი (საუდეთი), ვალტერ სამუელი (არგენტინა), დიეგო სიმეონე (არგენტინა), სოლ კემპბელი (ინგლისი), ეგი სოდჯე (ნიგერია), მარკუს ოლბეკი (შვედეთი), ანდრეას იაკობსონი (შვედეთი), ხულიო კარლოს კასერესი (პარაგვაი), დენის კანისა (პარაგვაი), რიკარდო ტავარელი (პარაგვაი), ხუან კარლოს ფრანკო (პარაგვაი), აარონ მოკოენა (სამხრეთ აფრიკა), პიერ ისა (სამხრეთ აფრიკა), ბენი მაკარტი (სამხრეთ აფრიკა), სიბუსისო ზუმა (სამხრეთ აფრიკა), ხუან კარლოს ვალერონი (ესპანეთი), ამირ კარიჩი (სლოვენია), სებასტიან ციმიროტიჩი (სლოვენია), ედმილსონი (ბრაზილია), ალფაი ოზალანი (თურქეთი), ფათიჰ აკიელი (თურქეთი), ფაბიო კანავარო (იტალია), აუგუსტო პოროსო (ეკვადორი), ულისეს დე ლა კრუზი (ეკვადორი), კლებერ კალა (ეკვადორი), ლუის მარინი (კოსტა რიკა), მაურისიო სოლისი (კოსტა რიკა), რონალდ გომესი (კოსტა რიკა), ვალტერ სენტენო (კოსტა რიკა), ლი ტიე (ჩინეთი), ხუი იუნლონგი (ჩინეთი), ლი ხაობინგი (ჩინეთი), კაზუიუკი ტოდა (იაპონია), იუნიჩი ინამოტო (იაპონია), პეტერ ვან დერ ჰეიდენი (ბელგია), ბერტ გოლმონი (ბელგია), ჟაკი პეტერსი (ბელგია), ერიკ ვან მეირი (ბელგია), ჯონ სუნგ ჰვანი (ს. კორეა), ჰონ მიონგ ბო (ს. კორეა), იაცეკ კრზინოვეკი (პოლონეთი), ტომაშ ჰაიტო (პოლონეთი), პიოტრ სვიერჩევსკი (პოლონეთი)



მსოფლიოს ჩემპიონატის პირველი სამი დღე წითელი ბარათების გარეშე მიილია, ორშაბათს კი ერთბაშად სამი ფეხბურთელი გააძევეს.

პირველი უიღბლო ხორვატი ბორის ჟივკოვიჩი (№6) გახდა, რომელმაც საჯარიმო მოედანში ბოლო იმედის ჯარიმით დასცა მექსიკელი კუაუტემოკ ბლანკო და გაძევებასთან ერთად პენალტითაც დაისაჯა.

ჯერჯერობით ყველაზე მეტი ფეხბურთელი — 22, საფრანგეთის ჩემპიონატზე გააძევეს, ხოლო ერთადერთი მუნდიალი, გაძევებათა გარეშე რომ ჩაიარა, 1950 წლისა იყო.

## იუბილარი



### პონტუს ფარნერუდი (შვედეთი). 4.06.80

ვერ გეტყვით, შვედურმა ჰოკეიმ მომავალი ვარსკვლავი დაკარგა თუ არა, ყოველ შემთხვევაში პონტუს ფარნერუდი თხუთმეტ წლამდე სწორედ შაიბას დასდევდა. ვერც მის ცნობიერებაში მომხდარი უეცარი გარდატეხის მიზეზებზე მოგახსენებთ, ის კი ფაქტია, რომ თექვსმეტი წლის ფარნერუდი უკვე ფეხბურთის ბურთს აგორებდა „ლანდსკრონა ბოისში" და არც ამ გუნდზე ვფლობთ ვრცელ ინფორმაციას.

მერე ფარნერუდი საფრანგეთში გადაბარგდა და ახლა „მონაკოში" თამაშობს, სანაკრებო დებიუტი კი ახლახანს, 13 თებერვალს ბერძნებთან ამხანაგურ მატჩში ჰქონდა. შესაბამისად, შვედთა ნაკრების მსოფლიოს ჩემპიონატზე გასვლაში მას იოტისოდენა წვლილიც არ შეუტანია.

ნაკრებთა თავკაცები ამტკიცებენ, ფარნერუდი ღირსეულად ამოუდგა მხარში ჩვენს განთქმულ მცველებს, იოჰან მიალბის და პატრიკ ანდერსონსო, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა (ინგლისთან საკვირაო მატჩში) ის მაინც სათადარიგოდ გაამწესეს.

გუშინ კი პონტუს ფარნერუდს ოცდაორი წელი შეუსრულდა.



### ფრანსისკო გაბრიელ დე ანდა (მექსიკა). 5.06.71

ეს გრძელი გვარ-სახელის მქონე კაცი დღეს ოცდაცხრა წლისა მოიყარა და ნაკრებშიც ვეტერანად ითვლება — მას მერე, რაც პირველად ითამაშა მექსიკის ნაკრებში, ხუთი წელი გავიდა. მაგრამ დე ანდას გარეშე მექსიკის ნაკრები წარმოუდგენელიაო, რომ ვთქვათ, ტყუილი იქნება. ამ ხუთ წელიწადში ოდენ თხუთმეტი სანაკრებო კეპი დაუგროვდა. ოღონდ იმასაც ნუ იფიქრებთ, ისე რა ფეხბურთელია და ამიტომაც ათამაშებდნენ იშვიათადო. საქმე ის გახლავთ, რომ ნაკრებში მის პოზიციაზე თვით კლაუდიო სუარესი თამაშობდა და დე ანდას, ცხადია, შანსი არ ექნებოდა. კლაუდიო სუარესი კი მოგეხსენებათ, 170 მატჩით მსოფლიოს რეკორდს ფლობს.

სუარესი კორეა-იაპონიაში არ წასულა და ფრანსისკო გაბრიელსაც კეპების მარაგის შევსების საშუალება მიეცა. აქვე დავძინოთ, რომ 188 სანტიმეტრი სიმაღლის მცველი მექსიკურ „პაჩუკაში" ირჯება.



### ტაკაიუკი სუზუკი (იაპონია). 5.06.76

ბავშვობაში სუზუკი ოდენ მოტოციკლეტი გვეგონა და გვარი ყოფილა. ერთი სუზუკი იაპონიის ნაკრებსაც ჰყავს და დღეს ის ოცდამეექვსედ აღნიშნავს დაბადების დღეს.

ერთი წელი გავიდა, რაც ეს ბიჭი ფილიპ ტრუსიემ ნაკრებში მიიწვია და თერთმეტ შეხვედრაში სამი გოლი შეაგდო. თუ კონფედერაციათა თასის წინა გათამაშებას თვალყურს ადევნებდით, სუზუკი აუცილებლად უნდა გახსოვდეთ, რაკილა კამერუნელებს ორი ულამაზესი გოლი გაუტანა, ნახევარფინალში კი წითელ ბარათს გამოჰკრა ხელი. საერთოდაც ამბობენ, ძალიან ძლიერი თავდამსხმელია, მეტოქე მცველებს თავბედს აწყევლინებს, ოღონდ ერთი ეგაა, ნერვიულია და უწყინარ ეპიზოდში შეიძლება ისეთი რამ ჩაიდინოს, მსაჯს თავი გააგდებინოსო.

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80





რივალდოს საქციელის გამო მოედანზე ერთი ამბავი ატყდა, ახლა კი მშვიდად არიგებს ავტოგრაფს

# კაცი, რომელიც წაიქცა

## ჯერ გასინჯეთ, მერე განსაჯეთ

*ალიაქოთი დაიწყო. დაიწყებოდა აბა, რა? კუთხურის ალამთან წაიქცა კაცი. დიახ, კაცი, რომელიც ნალდ კაცად არის (თუ იყო) ცნობილი. მისი ბედი ასეთია — თამაშობს და ალმერთებენ. ახლა რივალდო სახეზე ხელებაფარებული დაეცა. მიზეზი? ჰაქან უნსალმა ბურთი უხეშად ესროლა. რატომ? იმიტომ, რომ ბრაზილიელი კუთხურის ჩაწოდებას არ ჩქარობდა. და სად მოხვდა ბურთი? მუხლში, მერე ხელში, მაგრამ არამც და არამც სახეში. რივალდოს ოინი არ გამოუვიდა. მისი მხოლოდ არბიტრმა ირწმუნა.*

**თუმცა** მოიცათ! არის კიდევ ერთი კაცი, ვინც ამ საქმეში უნდა ჩარეულიყო. ეს გვერდითი მსაჯი გახლავთ. დალოცვილიშვილო, შენს ცხვირწინ მოხდა ყველაფერი (მსაჯი კუთხურის ალამთან, მეორე ალამივით იდგა), ხედავ, რომ იონგ-იოო კიმი (მატჩის არბიტრი) აჭრილია. აუხსენი, რა და როგორ იყო. ჰაქან უნსალსაც გააყვითლებდა კიმი და ბრაზილიელსაც. ოღონდ გაფრთხილება რივალდოს საქციელს ოდნავ თუ შეამსუბუქებდა. ეგებ 60-მილიონიანი თურქეთიც ასე არ განრისხებულიყო. ერთი კია, „დაზარალებული“ გულის სიღრმეში შეიძლება ნანობს კიდეც თავის საქციელს, მაგრამ მის ქომაგთა გაბრაზებულ გულებს, ისევე როგორც თვითონ რივალდოს, პატარა, შავ ლაქად მაინც დარჩებათ ეს ამბავი.

განრისხებული თურქები კი ვახსენეთ, მაგრამ საეჭვოა, ბრაზილიელებს და სრულიად ბრაზილიას იოტისოდენად აღელვებდეს ოსმალოთა წყრომა. ასე რომ, ტეტრაკამპეონთა გულშემატკივრებმა და არაგულშემატკივრებმა თავ-თავიანთი დასკვნები გააკეთეს.

რივალდოს ადვოკატი უმალ გამოუჩნდა. ლუიშ ფელიპე სკოლარიმ უკან ერთი მტკაველითაც არ დაიხია: „მან სახე დაიცვა. როცა ბურთი ფეხში მოხვდა, ხელები აიფარა, რომ ცხვირპირში არ მოხვედროდა.“

მერე ბარსელონელმაც თქვა: „კი, შეგნებულად გავაკეთე ყველაფერი. უნსალი უნდა გაეძევებინათ. სახეში არ მომხვედრია, მაგრამ ასეთი საქციელისთვის ფეხბურთელი გაძევებას იმსახურებს და მეც პროვოკაციაზე წავედი.“

თურქეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ჰალუკ ულუსოი: „როგორც ვიცი, სიმულაციისთვის მსაჯებმა ფეხბურთელები მკაცრად უნდა დასაჯონ. მსგავსი ვერაფერი ვნახე. ჯერჯერობით მხოლოდ ჩვენ დაგვსაჯეს“.

თურქული პრესის ყველაზე მქუხარე სათაური ასეთი გახლდათ: „ცხოვრება გაჩერდა!“ საერთოდ კი ჟურნალ-გაზეთები საყოველთაო ჩაგვრაზე ალაპარაკდნენ.

ანტონიო კარლოს ძაგო თურქი არაა. იგი „რომას“ ფეხბურთელი იყო, ახლა კი „ბეშიქთაშთან“ კონტრაქტზე მოუწერია ხელი. ჰოდა, სტამბოლელ ჟურნალისტებსაც კომენტარი ამ ბრაზილიელისთვის უთხოვიათ: „მსაჯმა თურქეთის ნაკრები „დაწვა“. ლუიზაოს წაქცევისთვის თერთმეტმეტრიანი არ უნდა დაენიშნა. რივალდოს დონის ფეხბურთელს კი არ ეკადრება, რაც ჩაიდინა. ასეთი რამ შეიძლება მხოლოდ ვარჯიშზე, ხუმრობით გააკეთო“.

სიტყვა თქვა ესპანელმა ივან ელგერამაც: „რივალდოს არ ეპატიება. ის წითელ ბარათს იმსახურებდა და მე რომ მსაჯი ვყოფილიყავი, გავაძევებდი“.

ნამატჩევს საინტერესო ამბები მოხდა ბერლინში. ქუჩაში დადგმულ უზარმაზარ ეკრანზე ბრაზილიელი და თურქი გულშემატკივრები თამაშს უყურებდნენ. დასრულდა თუ არა, 400-მდე ოსმალო სამხრეთამერიკელებს დაერია, თუმცა გერმნული პოლიცია მომზადებული იყო და თავპირისმტვრევა დროულად შეაჩერა.

აი, ბრაზილიაში კი მატჩის მსვლელობისას ერთ-ერთ ციხიდან 17 პატიმარი გაიქცა. მცველები თავის გუნდს გულშემატკივრობდნენ, ტუსაღებმა კი ადრევე გათხრილი გვირაბიდან გაქცევა მოახერხეს. მათ დაედევნენ, ოთხი დაიჭირეს, ორი კი სროლისას დაიღუპა.

ეს მატჩი თავიდან ბოლომდე ომი გამოდგა, ომი რომელიც იონგ-იოო კიმს შეეძლო, თავიდან აეცილებინა, მაგრამ ვერ შეძლო.

რივალდოს საქმეს კი სადისციპლინო კომიტეტი დღეს განიხილავს და ეგებ...

**ვატა ხუციშვილი**

# არ დალიოთ, არ მოწიოთ, არ... ითამაშეთ ფეხბურთი

**ემზარ ზენაიშვილი**
საგანგებოდ „სარბიელისთვის“
**სეულიდან**



**ურუგვაი — დანიის** მატჩს დავესწარი და მას მერე ტელეკრანთან ვზივარ, ალბათ, თქვენზე ოდნავ უკეთეს ვითარებაში — რამდენიმე ათეული სხვადასხვა ზომის ტელევიზორების გარემოცვაში, რომელთაგან ერთის გაბარიტი 8X10 მეტრი გახლავთ. ცქერის პოზაშიც არავინაა შეზღუდული. ზოგი ჩვეულებრივ ზის, ზოგსაც ფეხები, წინდებით თუ უწინდებოდ, მაგიდაზე ან სკამზე აქვს შემოწყობილი. ერთი-ორიც, რაღა დაგიმალოთ და, ხვრინავს კიდეც. ყველაფერი ეს მსოფლიოს ჩემპიონატის სეულის საერთაშორისო პრეს-ცენტრში ხდება.

აი, იმას კი ვერ გეტყვით, თან ვუყურებ და თან ლუდს ვწრუპავ-მეთქი. ამ მხრივ თქვენ ერთობ უკეთეს მდგომარეობაში ხართ — ზაფხულიც მოვიდა და ფეხბურთის ყურებას ლუდის ჩაციებული ბოთლით ხელში, რა სჯობს.

ფიფას 16 სპონსორიდან ერთ-ერთი, ცნობილი ამერიკული ლუდის კომპანია „ბუდვაიზერია“, რომელთანაც ხელშეკრულების გაფორმებას დიდი დავიდარაბა ახლდა. იაპონელებმა დაიჩემეს — გინდათ თუ არა, ჩემპიონატი უალკოჰოლო გავხადოთო, ლუდიც კი არ გავიკაროთ ახლოსო. ამ ოთხიოდე წლის წინ კი თავად იკლავდნენ თავს და მიაღწიეს — ნაგანოს ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე ერთ-ერთი იაპონური ლუდის კომპანია გაასპონსორეს. ეს მაშინ, როცა ოლიმპიური ქარტია თამბაქოსთან და ალკოჰოლთან რაიმე სახით ურთიერთობას საფუძველშივე გამორიცხავს.

ფიფას თავისი ფინანსური ინტერესები გააჩნდა და „ბუდვაიზერიც“ დარჩა. ერთი ეგაა, მას ყველგან ვერ მიირთმევთ და ვერც იმ რაოდენობით, თქვენ რომ მოგესურვებათ.

სამაგიეროდ, რეკლამაში „ბუდვაიზერი“ შეზღუდული არ არის: „ორი ქვეყანა — 20 სტადიონი — 32 გუნდი — 64 მატჩი — სამი მილიარდი მაყურებელი — ლუდი კი მხოლოდ ერთი!“ ან კიდევ: „ერთი მსოფლიო — ერთი თამაში — ერთი ლუდი!“ ის კი არა და, 15 ივნისს ინჩეონის სტადიონზე ბუდ-თასის ფინალიც გაიმართება, რომელშიც 14 ქვეყანა მიიღებს მონაწილეობას.

მათ საყურადღებოდ კი, ვინც „ბუდვაიზერის“ ტრფიალია (მსოფლიოს 80 ქვეყანაში ანიჭებენ უპირატესობას), ვიტყვი — ერთ კათხაში მოქცეულია 143 კალორია, 1,2 გრამი პროტეინი და მხოლოდ ხუთი პროცენტი ალკოჰოლი.

საერთოდ მსოფლიოს ჩემპიონატზე აკრძალვები უხვადაა. თამბაქო არ მოსწიოთო, ძალადობა არ დაუშვათო (შეგახსენებთ — ფიფას ექსპერტთა შეფასებით, იაპონია და კორეა მსოფლიოში ყველაზე ნაკლებად საშიშ ქვეყნებად არის მიჩნეული), დოპინგი არ გაიკაროთო (ფეხბურთელთაგან პირველად სწორედ აქ აიღებენ სინჯებს არა მარტო შარდზე, არამედ სისხლზეც), სექსთან დაკავშირებითაც ფრთხილად იყავით, ემანდ შიდსს არ გამოეკრათ ხელიო. გამოდის, რომ ამ მხრივ რაღა კორეა-იაპონია და რაღა მორმონთა აკრძალვებით ცნობილი იუტას შტატი და სოლტ ლეიკ სიტი.

ცალკე თემაა საერთაშორისო პრესცენტრი, რომელიც მსოფლიოს სავაჭრო ცენტრის შენობის სამ სართულზეა განლაგებული. რაიმე პრობლემაზე ლაპარაკი გამორიცხულია — ჟურნალისტებს აქვთ ყველაფერი, რასაც მოისურვებენ.

თავად შენობა უზარმაზარია. 26 საკონფერენციო დარბაზის გარდა, აქ შეიძლება სიმპოზიუმებისა თუ სხვა შეკრებების ჩატარება ერთდროულად შვიდი ათასი კაცის მონაწილეობით.

პირველი სართული მთლიანად დათმობილი აქვს მასმედიის მსოფლიო სააგენტოებს. მთელი გამოყოფილი ტერიტორია დანაწილებულია ოც ბლოკად და მათ თამაშების მასპინძელი ქალაქების სახელი აქვთ მიკუთვნებული.

მესამე სართულზე კი პრეს-ცენტრია, სადაც დაახლოებით ათას კაცზეა გაშლილი მშვენიერი პურმარილი (ცხადია, საცივს და ღომს არ ვგულისხმობ), მაგრამ რომელიც მხოლოდ რამდენიმე ათეული კაცით თუა შევსებული. ჯერჯერობით ეს უზარმაზარი შენობა ფაქტობრივად ცარიელია.

მარტო ამ დარბაზში ათასი ადგილია, 60-ზე მეტი სხვადასხვა ზომის ტელეეკრანი, 100-მდე კომპიუტერი, ამდენივე საერთაშორისო ტელეფონის აპარატი, ათეულობით საინფორმაციო დაფა, ფაქსისა და ქსეროქსის აპარატები და მსოფლიოს მრავალ ენაზე საოცრად ბევრი ლიტერატურა — ფეხბურთზე, ფიფაზე, ოცდათორმეტივე გუნდზე, ოცივე სტადიონზე და ქალაქზე, კორეასა და მის პროვინციებზე, ტურისტულ მარშრუტებზე პოლიგრაფიულ ხარისხზე ხომ ლაპარაკიც უხერხულია.

მოკლედ, სამუშაო პირობები ბრწყინვალეა, მომუშავენი კი საოცრად ცოტა!



ამ ირლანდიელ ქომაგს სასმელისა და ქალის თაობაზე ორგანიზატორთა გაფრთხილება არ ადარდებს

# შეინიშნება ფანტაზიის ანთება



სლოვენიასთან შეცვლაზე შესულმა მორიენტესმა იეროსთვის (№6) პენალტი მოიპოვა

**ესპანეთის ნაკრები** მეორე ტურში პარაგვაის ხვდება, ხოლო დიეგო ტრისტანი ყველა ღონეს ხმარობს ამ მატჩში რომ ითამაშოს. შეგახსენებთ: სლოვენიელებთან შეხვედრაში ტრისტანმა ფეხი იტკინა და იგი ფერნანდო მორიენტესით შეცვალეს.

„ტრავმა სერიოზული არ არის, უბრალოდ, მცირე ანთებითი პროცესი შეინიშნება, რომლის ჩაცხრომისთვის წინ 48 საათი კიდევ გვაქვს. მე თუ მკითხავთ, ტრისტანისთვის საუკეთესო წამალი დასვენებაა“ — განაცხადა გუშინ ესპანეთის ნაკრების ექიმმა ხენარო ბორასმა.

თავად ფეხბურთელმა კი თქვა: „იმედიანად გახლავართ. მწამს, რომ პარაგვაელებთან თამაშს შევძლებ“.

და მაინც, თუ ტრისტანი დარჩენილ საათებში ვერ გამოჯანმრთელდება, მის მაგივრად მოედანზე ისევ მორიენტესს ვიხილავთ, თუმცა არც თავად მორიენტესია ბოლომდე განკურნებული.

ფეხი სტკივა ხუანფრანსაც, მაგრამ ექიმი ბორასი დიდად არც ამაზე ნერვიულობს:

„ასეთი წვრილ-წვრილი ტრავმები ხუანფრანისთვის ჩვეულებრივი ამბავია და ის მათ ყოველთვის იოლად ძლევს. ერთი სიტყვით, აქ განსაკუთრებული არაფერია“.

ასეა თუ ისე, ტრავმის ამბავი ქომაგებისთვის უსიამოვნო მოსასმენია, ესპანელ ქომაგებს კი, თურმე ნუ იტყვით და, მსოფლიოს ჩემპიონობის იმედი აქვთ.

„გულშემატკივრებს ეიფორიისგან თავის შეკავება მინდა ვთხოვო — განაცხადა ამბიციებთან დაკავშირებით რაულმა — ნუ დაგვავიწყდება, რომ სლოვენიასთან გაცილებით უკეთ უნდა გვეთამაშა.“

**ბაჩუნა ძიძია**



# მე ვხედავ ხელს!

## ინგლისელებმა ბახრამოვის კიდევ ერთი გოლი აღმოაჩინეს

**BBC**-ის ფეხბურთის რედაქციის შეფ ნილ სლოანს ძველი ფოტომასალის თვალიერებისას უეცრად თვალები გაუშეშდა, ოფლმა დაასხა, ჩაის ჭიქა ხელიდან გაუვარდა, თმები ყალყზე დაუდგა, გონზე მოსულმა კი შესძახა — ევრიკა! და თუ რა აღმოაჩინა მისტერ სლოანმა, ამ ფოტოზე ხედავთ.

30 ივლისი, 1966 წელი, „უემბლი". მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში 89-ე წუთამდე ინგლისი 2:1 უგებდა დასავლეთ გერმანიას. აქ კი ვოლფგან ვებერმა ბურთს დაჰკრა, გაათანაბრა და მატჩიც დამატებით დროში გაგრძელდა. რაც მოხდა დამატებით დროში საყოველთაო კამათის საგანია — 101-ე წუთზე ჯეფრი ჰერსტმა ბურთი ხარიხას გაარტყა, კარის ხაზზე დაეცა, არბიტრმა გოტფრიდ დინტსმა თანამსაჯ ტოფიკ ბახრამოვთან მიირბინა, აზერბაიჯანელმა კი დასტური მისცა, გოლი იყოო.

თუმცა 89-ე წუთს მივუბრუნდეთ. ფოტოზე ვოლფგან ვებერის საგოლე დარტყმაა აღბეჭდილი. და რას ვხედავთ? ტოფიკ ბახრამოვის აღმართულ ალამს.

ერთი შეხედვით, მავანი გერმანელი პასიურ თამაშგარე მდგომარეობაშია და ბახრამოვის ალამიც ამას მიანიშნებს, თუმცა როგორც ირკვევა (ვინ და რანაირად გაარკვია?!), სანამ ბურთი ვებერს მიუვიდა, მის გვერდით მდგომ კარლ-ჰაინც შნელინგერს ხელზე მოხვედრია, რაც ბახრამოვს შეუნიშნავს კიდეც. გამოდის, რომ ვებერის გოლი არ უნდა ჩათვლილიყო და თამაშიც ძირითად დროში უნდა დასრულებულიყო. შესაბამისად, არც ჯეფრი ჰერსტის გოლზე ატყდებოდა კამათი.

მისტერ სლოანს ეს ფოტო იმ მატჩის მონაწილე ჯორჯ კოენისთვის უჩვენებია, რომელსაც პირი დაუღია, დღემდე წარმოდგენა არ მქონდა, ბახრამოვმა ალამი თუ ასწიაო. იმავ კოენმა დასძინა: „ჯეკი ჩარლტონმა და რეი უილსონმა მაშინ დაიძახეს, შნელინგერზე ხელიაო, მაგრამ ჩვენ ამისთვის ყურადღება არ მიგვიქცევია".

სლოანი კი ამბობს: „გაოცებული ვარ. ეს მომენტი ათასჯერ მქონდა ნანახი და ბახრამოვის აღმართული ალამი არასდროს შემიმჩნევია. ახლა კი, უცებ თვალში მეცა და გავოგნდი".

ძალიან უცნაური ამბავია და კაცმა აღარც იცი, რა დაიჯერო. ტოფიკ ბახრამოვი კი ცხრა წლის წინ გარდაიცვალა და ველარაფერს იტყვის.

**ირაკლი ნინიძე**

# კორეული ზღაპარი

## როგორ გაგოჭეს გასაკოჭი ფადიგა



ხალილუ ფადიგას შერცხვენისა არაფერი ეტყობა

**ზოგს** რა ბედი აქვს! აი, მაგალითად, სენეგალელ ხალილუ ფადიგას, რომლის ამბავიც მსოფლიოს ჩემპიონატის პირველ სირცხვილად იქცა. შეგახსენებთ, რომ მუნდიალის გახსნის წინა დღეს სენეგალელმა ფეხბურთელმა საიუველირო მაღაზიაში 240 დოლარის ღირებულების ძვირფასეულობა მოიპარა და დაიჭირეს. სენეგალელმა ერთი ამბავი კი ატეხეს, აქაოდა, ფრანგებთან მატჩის წინ ჩვენს გატეხვას ცდილობენო, მაგრამ ეს არგუმენტი სასაცილოდ არავის ეყო.

ისიც მოგეხსენებათ, რომ ფადიგა მალევე გაუშვეს, წვრილმანი ქურდობისთვის მისი ციხეში გამვება არ ღირსო, თქვეს კორეელმა პოლიციელებმა.

ახლა კი, სეულელმა პროკურორმა განაცხადა, რომ ფადიგას წინააღმდეგ საქმე საერთოდაც დაიხურა, რადგან საიუველირო მაღაზიის მეპატრონემ საჩივარი უკან გამოიტანა. ეს კაცი, ლი სენ იული, ფეხბურთის დიდი ქომაგი ყოფილა და სენეგალელებს ხასიათი არ წავუხდინოო, ასე ამიტომაც მოქცეულა. მეტიც, იუველირმა ხალილუ ფადიგას საჩუქარიც კი გაუგზავნა — პატარა ოქროს გოჭი, კორეელთა ტრადიციული თილისმა.

*შეგონება ქართველ ხელმრუდთათვის: არც იოცნებოთ, რომ ლი სენ იულისნაირი კეთილი ძიები თქვენც შეგხვდებათ!*

**კოტე ქეცელია**

# კოსმოპოლიტური მიმოხილვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საპორები საპოროდან



ინგელბერტ პონტელავა
საპოროდან იმენა
კოსმოპოლიტური ბიუროსთვის

ჩემო სიყვარულო ქართველობავ! თქვენ ხო აზრზეც არა ხართ, როგორ მინდა ახლა თქვენთან ერთად ვიყო, უბანში პივას ვსვამდე და სიყვარულობას ვარაზბორებდე ფეხბურთის ამბავში, მაგრამ ცხოვრება მურტალია, „კოსმოპოლიტური ბიუროს" ტისკებს ველარ გავუძელი და ხელი მოვაწერე... იმ ამბავში, რო ეხლა მივლინებული ვარ იაპონიაში და იქიდან გამოგიგზავნით ჩემს სევდას და დარდს კვირაში ორჯერ — აბა, მსოფლიოს ჩემპიონატი სპეციალისტის კომენტარის გარეშე ხო არ ჩაივლის, ტო! პოდა, ვზივარ საპოროში, საიდანაც უნდა ვისპორო, არადა, როგორ მინდა ეხლა უბანში... თუმცა, ეგ ხო ვთქვი, ჩემი კაი! პოდა, რადგანაც საპოროდან უნდა ვისპორო, გადავწყვიტე რუბრიკას „სპეციალისტის აზრის" მაგივრად „სპორები საპოროდან" დავარქვა. პოდა, დღეს პირველი სპორია, მაგრამ, აუ, ჩემი, როგორ მინდა ეხლა... არა, არა, ეგ ხო ვთქვი, ტო?! იტოგში დავიწყოთ! საიდან? რა ბაზარია, ტო, თავიდან.

ნაპრიმერ, ფრანცია!

არა, არა! მე მაგ გუნდის თავიდანვე იმიტო არ მჯეროდა, რო, რაღაც ვერ არის მთლად დევიანოსტა ტრენი. იმ დღესაც, ხო ნახეთ, არა? დაიჭირა სენეგალმა და მოუგო. ახლა მე, როგორც ქართველმა სპეციალისტმა, რა შევნიშნე ისეთი, რასაც ბალეშჩიკი ვერ შენიშნავდა: რა და საფრანგეთმა იმენა ორი შტანგა გაარტყა, რა, მაგრამ სენეგალმა ერთი შტანგა და ერთიც გოლი გააკეთა. ფრანგებს რამე თუ უნდოდათ, სხვა პონტს უნდა მიწოლოდნენ, პადსებია, რამე, ამბავი...

ახლა, არგენტინა!

ძალლი გუნდია, ბ...შვილი ვიყო. ე, ჩემი კაი, იმენა „ლაციო" არ გაგახსენდათ? მე, კი, ტო, გამახსენდა, მაგრამ უფრო მაგარია იმ ამბავში, რო ორტეგა ჰყავს და ორტეგამ ბურთი იცის. იმენა რომ დაიჭერს ბურთს, მაგრა აკატავებს და ამ დროს მასტები იხსნებიან (თანამდებობიდან). აი, პროსტა ბატისტუტა დაბერდა, მაგრამ მაინც ჯიგარია. ახლა, მე როგორც ქართველმა სპეციალისტმა რა შევნიშნე ისეთი, უბრალო ბალეშჩიკი რო ვერ შენიშნავდა: არგენტინაში, ძმაო, ერთი ნეგრი არ თამაშობს.

მერე ბრაზილია!

ვიკაიფე, რა! და ეხლა არ დამიწყოთ, რო რივალდოს არ უნდა ესიაფანდა, თორე დაგჭრით, ჩემი კაი! დენილსონიც, ხო, პროსტა კაიფია. აი, ბურთი ვინ იცის თუ იცის. ერთი ეგ არის, რობერტო კარლოსი არ მევასება. იტოგში ბურთს აკატავებენ? აკატავებენ! მოიგეს? მოიგეს! რივალდო ჰყავთ? ჰყავთ! რონალდო? რონალდოც! რონალდინიო? რონალდინიოც! ჟუნინიო? ჟუნინიოც! დენილსონი, ედმილსონი, ედილსონი, კლებერსონი და ანდერსონი? ჰყავთ! რა ბიჭო?! ანდერსონი როგორ არ ჰყავთ, აბა, ანდერსონ პოლგა ვინ არის, ტო? შენ აზრზე მოდი, ბიჭო! ეხლა, ვილაც კაზიოლმა თქვა პენალტი არ იყოო. ე, ვასია, შენ ლეტნად ხო არ ხარ? იმენა, როგორ არ იყო, ბიჭო! სამოცდაექვსში ინგლისს გოლი არ გაუტანია და მსოფლიოს ჩემპიონი გახდა (აქ იგულისხმება სერ ჯეფ ჰერსტის გოლი გფრ-ს კარში — რედ. შენ.), გერმანიამ არგენტინას სიაფანდი პენალტით მოუგო 90-ში და მაინცდამაინც ეს არ იყო ტო? იყო! ეხლა კი, როგორც ქართველმა სპეციალისტმა, რა შევნიშნე ისეთი, უბრალო ბალეშჩიკი რომ ვერ შენიშნავდა: თურქებმა დაგლიჯეს! მართლა მაგრები ყოფილან.

იტალია!

ეგ არი, რაც არი! მე, ტო, ლიჩნად, ეგრე არავინ მევასება. თან ის ნაშაც რომ დაიმტვრა, როგორ გაასწორა! ვინ ნაშა? ინძაგი, ტო, მაგას რა კითხვა უნდა. ვიერი კაცია! ტოტი კაცია! დი ბიაჯო კაცია! — ეგეთი როჟა იყო ერთი, ჩემს ბავშვობაში, ჩვენთან უბანში გოპსტოპზე დადიოდა, მერე მთელი ცხოვრება ლაგერებში გაატარა, ეხლა საპოჟნიკია სვერდლოვსკში. აი, დელ პიერო... დელ პიეროს და ტყუილს მოკლე ფეხები აქვთ, მაგრამ ეგ არაფერი. იტოგში იტალია იმენნა მაგარია! ეხლა, რა შევნიშნე, მე როგორც ქართველმა სპეციალისტმა: იტალიამ, ძმაო, იმენნა ორჯერ წაილო ბურთი და ვიერიმ ორი გოლი გააკეთა.

გერმანია?!

ბეზ ბაზარა! ჰო, მართლა, თბილისში არჩევნები ჩატარდა? თუმცა ეგ რა შუაშია, გერმანიაზე ვბრაზობდი. აქ, ძმაო, საპოროში გერმანიამ რო იგულავა, ეგრე... ე, ბიჭო, შენ ეგ ფრიცები ძალიან ადრე ჩამოწერე. იმენა, იგულავა, რაისა პრივეტ იზ ქუთაისა. კლოზე და რამე. როგორც სპეციალისტმა რა შევნიშნე? იზვინი, რა, ბრატ, იმ დღეს აქაურ ჟურნალისტთთან, აკაკი ავაზაკისთან ერთად მაგრა დავლიე სახინკლეში და მხოლოდ ის შევნიშნე, რომ სახინკლის კართან ვილაც მასტმა ხარაკირი გაიკეთა.

კიდე მოგწერთ.
თქვენც მითხარით ყურადღება რაზე გავამახვილო.
ავტორი: ენგელბერტ პონტელავა
ხელმოწერა: +




მიეცი, გაიტანს... კრისტიან ვიერია, რა!

მსოფლიოს ჩემპიონატის დღიური 4 ივნისი გიო ახვლედიანი

# წუხილი და სირბილი

## მამა, კაკა მინდა!

**ესე იგი**, იაპონიას საფეხბურთო მასპინძლობა და თამაში ნამდვილად შეძლებია. ბელგია დიდი არაფერი გუნდია, მაგრამ ბელგია ბელგიაა, ხოლო იაპონელებმა თუ ამგვარ სირბილს ისიც შეუხამეს, რომ წინ გაქცეულებს ბურთი უკან არ დარჩეთ, რუსს კი არა, წესით მეტსაც უნდა გასწვდნენ. ჯერ დასათვლელი რა არის, მაგრამ ასე სწრაფად ჯერ არც ერთ ნაკრებს არ ურბენია. მგონი, იაპონელები ახლაც დარბიან.

ეს ყველაფერი იაპონიის შესახებ, რომ ალარაფერი ვთქვათ კორეელებზე, რომლებსაც, მართალია, რეაქტიული სისწრაფეები არ გამოუყენებიათ, მაგრამ თავიანთი სადებიუტო თამაში მაინც მოიგეს. „გუს, აგვიხდინე ოცნებაო", დიდი ტრანსპარანტი გამოეტანათ პუსანის სტადიონზე და საინტერესოც ესაა, რაზე ოცნებობს კორეელი ხალხი ფეხბურთის საკითხში, თორემ გუს ჰიდინკი რომ საქმის კაცია, ცნობილია.

კორეელები უფრო მსაჯობაში მოიკოჭლებენ, რის გამოც ბრაზილიელები გვახსენდება.

„ძალიან ვწუხვარ, მაგრამ ფეხბურთში ხდება ასეთი რამეები. ბურთი სახეში არ მომხვედრია, ფეხში მომხვდა, მაგრამ თურქი ფეხბურთელი მაინც უფრო მტყუანი იყო. ასე მოქცევა გამოცდილებამ მიკარნახა. არაფერი მწყენია, ის კი მაინც უნდა გაეძევებინათ", თქვა რივალდომ.

კანტონამ კი თქვა: „ჩვენს ნაკრებს ძალიან გაუჭირდება. დაცვაში ლებეფი და დესაი სხვებთან შედარებით სუსტები არიან. ისინი ვერ მოერევიან საქმეს. საფრანგეთისთვის ყველაზე სახიფათო სწორედ დაცვაა. ვფიქრობ, ეს ითამაშებს უარყოფით როლს.

როი კინი კი სწორად მოიქცა, როცა ნაკრებიდან წავიდა. როი ძალიან დიდი პროფესიონალია ირლანდიის ნაკრებისთვის. დანარჩენები კი მოყვარულები არიან".

რასაც კანტონა ამბობს, ის როჟე ლემერმაც იცის: ურუგვაელთა წინააღმდეგ ლებეფი აღარ ითამაშებს, მის ადგილს ფრთიდან ცენტრში შემოწეული ლილიან ტურამი დაიჭერს, ტურამის ფრთაზე კი ვენსან კანდელა დადგება.

ირლანდიელთა მეკარეს, შეი გივენს კი ხელთათმანები მოსვლია პატარა. ოთხი წყვილი შეკვეთით დამზადებული ხელთათმანი მოზარდს თუ ეწებოდა კარგადო. ახლა მეკარე ახლების მოლოდინშია. იგივ ფირმის ხელთათმანები ასევე ვიწრო მოსვლია ინგლისელთა მეკარე ნაიჯელ მარტინს. ჩვენ კი კეთილშობილურად არ გაგიმხელთ ამ ფირმის სახელს, რომელსაც სააგენტოები გადმოგვცემენ.

სამაგიეროდ, ის კი გასამხელია, რომ იაპონური საორგანიზაციო კომიტეტი ტრიბუნების შეუვსებლობის გამო შფოთავს, ეს როგორ შეიძლებაო. კომიტეტის დანიშნული დაცვის სამსახური რვა თვის ბავშვს სტადიონზე შესასვლელ ბილეთს სთხოვს და ამგვარი წუხილი ცოტა არ იყოს, უცნაურია. ამიერიდან, ბილეთების შეკვეთა ტელეფონითაც შეგეძლებათო, გამოაცხადეს იაპონიაში და რა თქმა უნდა, სამწუხაროა, რომ იაპონია ძალიან შორსაა. როგორც იტყვიან, ბილეთები ყრია.

მაგრამ მასპინძელთა წუხილი არაფერია თურქთა წუხილთან შედარებით. აი, რას აცხადებს მათი მესაჭე შენოლ გიუნეში: რაც დავიმსახურეთ, ვერ მივიღეთ, ახლა ორივე თამაშის მოგება გვჭირდებაო.

რაოდენ საკვირველიც უნდა იყოს, თურქთა წუხილი არაფერია მათ დამმარცხებელ ბრაზილიელთა წუხილთან შედარებით. რიო დე ჟანეიროს მუშურუბან ვილა იზაბელში, სადაც კედელი და ქუჩებიც კი ყვითელ-მწვანედაა შეღებილი, გამარჯვების მიუხედავად



კაკა უმცროსი სკოლარის პროტექციონიზმი ამხილეს

რადგან ვიცით, როგორც ირჯებიან მოედანზეო, ამბობს ეს ყმაწვილი, შვედებისა კი არაფერი გაგვეგებოდაო.

ეს საკვირველი გამონათქვამია, ინგლისელებს ხომ მწვრთნელად შვედი ჰყავთ და შვედ ფეხბურთელებსაც ყოველ შაბათს ეთამაშებიან თავიანთ პრემიერლიგაში. თუმცა, ჰარგრივსი ხომ გერმანიაში თამაშობს, სადაც შვედები ნაკლებად არიან.

მწვრთნელებს მივუბრუნდეთ და ჯოვანი ტრაპატონი ვახსენოთ. „სკუადრა აძურამ" კომფორტულად მოუგო ძალიან სოფლურ ეკვადორს, შეპირებისამებრ დელ პიეროს სასტარტოში ყოფნის გარეშე, რამაც დონ ტრაპს საშუალება მისცა თავისი ტაქტიკური მიგნებით წაეტრაბახა.

მხცოვანმა თავის ნაკრებში ნაცადი 3-4-1-2-ის ნაცვლად 4-4-2 გამოიყენა და ძალიან მოჭრილადაც, თუმცა ქვაზე არაფერი წერია. ხორვატების წინააღმდეგ ჩვენ კიდევ ერთ ვარიანტს გამოვცდით და შემადგენლობაშიც როტაცია იქნებაო — დასძინა იტალიელმა.

შემადგენლობის როტაცია დღეს მოდური ამბავია და მასზე ის განთქმული მწვრთნელები ამახვილებენ ყურადღებას, ვისაც ტურნირში გრძელი გზა დაუსახავთ და გუნდებში 23-23 ვარსკვლავი ჰყავთ, თორემ სენეგალელთა მწვრთნელმა რაც უნდა მოინდომოს, როტაციას ვერ განახორციელებს, რადგან ვიერი და მონტელა არ ჰყავს. ამის მიუხედავად, სენეგალი უგებს საფრანგეთს, რაც იმას ადასტურებს, რომ ფეხბურთი დემოკრატიული თამაშია.

ბრაზილიელთა მწვრთნელს კი კიდევ ერთი ამბავი გაუხეთქეს, კერძოდ ის, თუ რატომ მოხვდა ნაკრებში სანპაულუელი ყმაწვილი კაკა, რომლის გამოჩენასაც აგრე ველოდებით. კაკა ჯალმინიას მაგივრადაა მიწვეული. ხომ ცნობილია, რომ ჯალმინია სკოლარიზე არანაკლებ გიჟმაჟია და ჩხუბიც მოუხდათ. ამასობაში კი გაირკვა, რომ სკოლარის ვაჟი, სანპაულუელთა ქომაგი და პირადად კაკას ფანი ყოფილა. ავ ბრაზილიელ ჟურნალისტებს რა დააღუმებს, თუმც სკოლარის იმან გაუმაგრა ზურგი, რომ ოცი წლისა ახლახან შესრულებული კაკა თვით დიდ ტოსტაოს ახალი თაობის საუკეთესო ფეხბურთელად მიაჩნია. თუმცა, ესეცაა, რომ კაკას მხოლოდ მაშინ თუ ვიხილავთ აზიის მოედნებზე, თუ რივალდოს დაემართება რამე. რივალდოს კი მგონი უკვე ემართება, ფიფა სიმულაციისთვის დასჯას უპირებს. რივალდო იდუმალი ილეთებითა და გამარ-

მწვრთნელ სკოლარის აგინებენ. მწვრთნელთა შორის უმწვრთნელესი მარიო ზაგალო კი ამბობს, ეს გუნდი არ წარმოადგენს ბრაზილიურ ფეხბურთს, რადგან ბრაზილიელები ისე არ თამაშობენ, როგორც სკოლარის ნაკრები თამაშობსო.

ჩვენი აზრით, ბრაზილიელები ისე თამაშობენ, როგორც შეუძლიათ და როგორც მწვრთნელი ავალებს. მწვრთნელი კი, დიდი საკლუბო სახელის მიუხედავად მაინც პროვინციული იერის კაცია და მეხელეულებებიც დიდად თანამედროვე არ უნდა ჰქონდეს. უბრალოდ, ბრაზილიაში ვერ იპოვეს სხვა კაცი, ვინც ნაკრებს უხელმძღვანელებდა. ამის მიუხედავად, ბრაზილია მეორეა „უილიამ ჰილის" ბუქმეიკერთა საჩემპიონო კოეფიციენტებში (9/20).

პირველი კი, ცხადია, არგენტინაა (5/1), რომლის დამარცხებაც, სხვათა შორის, იოლად უჩანს ინგლისელთა ყრმა ნახევარმცველ ოუენ ჰარგრივსს. მათთან უფრო გაგვიადვილდება თამაში,



გამარჯვების გემო ქალის ბაგესავით ტკბილია

თლებებით ცნობილმა სკოლარიმ დაიცვა, როგორ ვერ მიხვდით, სახეზე ხელები იმიტომ აიფარა, რომ შეეშინდა, ბურთი არ მომხვდესო. ის კი აღარ უთქვამს, რომ რივალდოს ჯერ ბურთი მოხვდა და მერელა აიფარა სახეზე ხელები, ვაიმე დედაო.

რაზან დღეს მწვრთნელებზე ჩამოვარდა სიტყვა, ჩინელთა დამმარცხებელ კოსტარიკელთა თავკაცის, ტომით ბრაზილიელ ალეშანდრე გიმარაეშის თაობაზე შეგახსენებთ, რომ იგი თავის მასწავლებლად ჩინელთა ახლანდელ თავკაც ბორა მილუტინოვიჩს თვლის, რომლის მთავარი პრინციპიც თორმეტი წლის წინ მუნდიალზე კოსტარიკელთა პირველი გამოჩენისას, გუნდში სიმშვიდის და განტვირთვის დანერგვა ყოფილა. ბორასეული ნაკრების ოდინდელმა კაპიტანმა გიმარაეშმა მართლაც მშვიდად სძლია დიდი მოგზაურის ახლანდელ შეგირდებს, კოსტარიკელთა ლიდერი პაულო ვანჩოპე კი თამაშის შემდეგაც იმას ამბობდა, თუ რა კარგი ბიჭია მისი სიტელი თანაგუნდელი სუნ ჯაი.

საერთოდ, ამ ჩემპიონატზე ბევრი თანაგუნდელი ერთმანეთის წინააღმდეგ თამაშობს, რასაც დღეს დავიწყებულ ჟან-მარკ ბოსმანს უნდა ვუმადლოდეთ.

ფიფამ კი სამოსზე ნომრების შავად დაწერა უბრძანა ფოსფორისფრად გამოწყობილ ნიგერიელებს, თქვენს ამრეკლავ მაისურებს თეთრი ნომრები არ ეტყობაო. დირს კი, ორი დარჩენილი თამაშისთვის წვალება?



ბორა მილუტინოვიჩი და პაულო ვანჩოპე ამ მუნდიალზე მეტოქეებად შეიყარნენ



ელიზაბეტ ლებეფს ერიკ კანტონამ ქმრის ფეხბურთელობა დაუწუნა

# საგაზეთო ლოზუნგი

## ირბინე, როგორც იაპონიამ! გაიმარჯვე, როგორც კორეამ!

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **იტალია. სერია C1. პლეი-ოფი. მე-2 მატჩები** | | | | | | |
| | | **9 ივნისი** | | | | | | |
| 18.00 | 034 | ლუკეზე-ტრიესტინა | 1,75 | 2,7 | 5,0 | 1,05 | 1,2 | 1,7 |
| 18.00 | 035 | ტარანტო-კატანია | 1,8 | 2,8 | 4,4 | 1 | 1,25 | 1,7 |
| | | **ნორვეგია. მე-11 ტური.** | | | | | | |
| | | **8 ივნისი** | | | | | | |
| 19.00 | 036 | სოგნდალი-ლილესტრიომი | 3,0 | 3,3 | 2,1 | 1,55 | 1,2 | 1,25 |
| | | **9 ივნისი** | | | | | | |
| 21.00 | 037 | ბოდოი გლიმტი-მოლდე | 2,5 | 3,2 | 2,4 | 1,4 | 1,2 | 1,35 |
| 21.00 | 038 | ბრანი-ლინი | 2,4 | 3,1 | 2,6 | 1,3 | 1,2 | 1,4 |
| 21.00 | 039 | ბრინი-სტარტი | 1,9 | 3,3 | 3,4 | 1,2 | 1,2 | 1,65 |
| 21.00 | 040 | ოდ გრენლანდი-ვიკინგი | 2,2 | 3,2 | 2,9 | 1,3 | 1,2 | 1,5 |
| 21.00 | 041 | სტაბეკი-როზენბორგი | 2,5 | 3,2 | 2,4 | 1,4 | 1,2 | 1,35 |
| | | **ფინეთი. მე-9 ტური.** | | | | | | |
| | | **6 ივნისი** | | | | | | |
| 20.30 | 043 | ალიანსი-პკ | 3,0 | 3,1 | 2,2 | 1,5 | 1,25 | 1,25 |
| 20.30 | 044 | ჰამეენლინა-ჯაზი | 2,2 | 3,1 | 3,0 | 1,25 | 1,25 | 1,5 |
| 20.30 | 045 | იარო-მიუპა | 3,2 | 3,1 | 2,1 | 1,55 | 1,25 | 1,2 |
| 20.30 | 046 | კუოპიო-ინტერი | 3,2 | 3,1 | 2,1 | 1,55 | 1,25 | 1,2 |
| 20.30 | 047 | ლახტი-ვააса | 1,95 | 3,1 | 3,5 | 1,1 | 1,2 | 1,6 |
| 20.30 | 048 | ტამპერე-ჰაკა | 2,5 | 3,0 | 2,5 | 1,35 | 1,2 | 1,35 |
| | | **მსოფლიოს ჩემპიონატი. პირველი ეტაპი.** | | | | | | |
| | | **5 ივნისი** | | | | | | |
| 11.30 | 115 | რუსეთი-ტუნისი | 1,6 | 3,3 | 5,3 | 1,05 | 1,2 | 2 |
| 14.00 | 116 | აშშ-პორტუგალია | 7,0 | 3,5 | 1,45 | 2,3 | 1,2 | 1 |
| 16.30 | 117 | გერმანია-ირლანდია | 1,7 | 3,1 | 4,7 | 1 | 1,2 | 1,85 |
| | | **6 ივნისი** | | | | | | |
| 16.30 | 118 | საფრანგეთი-ურუგვაი | 1,45 | 3,6 | 6,5 | 1 | 1,15 | 2,3 |
| 14.00 | 119 | კამერუნი-საუდეთი | 1,2 | 5,0 | 12,0 | 1 | 1,05 | 3,5 |
| 11.30 | 120 | დანია-სენეგალი | 2,2 | 2,8 | 3,3 | 1,2 | 1,3 | 1,5 |
| | | **7 ივნისი** | | | | | | |
| 11.30 | 121 | შვედეთი-ნიგერია | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,3 | 1,25 | 1,4 |
| 14.00 | 122 | ესპანეთი-პარაგვაი | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,05 | 1,2 | 2,1 |
| 16.30 | 123 | არგენტინა-ინგლისი | 2,1 | 3,1 | 3,2 | 1,2 | 1,25 | 1,55 |
| | | **8 ივნისი** | | | | | | |
| 11.30 | 124 | ს.აფრიკა-სლოვენია | 2,8 | 3,1 | 2,3 | 1,45 | 1,25 | 1,3 |
| 14.00 | 125 | იტალია-ხორვატია | 1,45 | 3,5 | 7,5 | 1 | 1,2 | 2,35 |
| 16.30 | 126 | ბრაზილია-ჩინეთი | 1,1 | 6,5 | 16,0 | 1 | 1 | 4,6 |
| | | **9 ივნისი** | | | | | | |
| 11.30 | 127 | მექსიკა-ეკვადორი | 2,2 | 3,1 | 3,1 | 1,25 | 1,25 | 1,5 |
| 14.00 | 128 | კოსტა რიკა-თურქეთი | 4,2 | 3,3 | 1,7 | 1,8 | 1,2 | 1,1 |
| | | **კალათბურთი** | | | | | | |
| | | **5 ივნისი** | | | | | | |
| 24.00 | 512 | ლეიკერსი-ნიუ ჯერსი | 1,2 | 12,0 | 3,5 | | | |
| | | **კრივი** | | | | | | |
| | | **7 ივნისი** | | | | | | |
| 23:45 | 901 | ლუისი-ტაისონი | 1,35 | 20,0 | 2,5 | | | |
| | | ნოკაუტით მოგება. | | | | | | |
| 23:45 | 902 | ლუისი-ტაისონი | 1,55 | —— | 2,9 | | | |

## I ტაიმის შედეგი

| | | | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|---|
| | | **5 ივნისი** | | | |
| 11.30 | 1015 | რუსეთი-ტუნისი | 2,0 | 2,3 | 5,0 |
| 14.00 | 1016 | აშშ-პორტუგალია | 6,5 | 2,3 | 1,8 |
| 16.30 | 1017 | გერმანია-ირლანდია | 2,4 | 2,0 | 4,4 |
| | | **6 ივნისი** | | | |
| 16.30 | 1018 | საფრანგეთი-ურუგვაი | 1,75 | 2,3 | 7,0 |
| 14.00 | 1019 | კამერუნი-საუდეთი | 1,45 | 2,8 | 10,0 |
| 11.30 | 1020 | დანია-სენეგალი | 2,6 | 2,0 | 3,8 |
| | | **7 ივნისი** | | | |
| 11.30 | 1021 | შვედეთი-ნიგერია | 2,8 | 2,0 | 3,5 |
| 14.00 | 1022 | ესპანეთი-პარაგვაი | 1,9 | 2,3 | 5,6 |
| 16.30 | 1023 | არგენტინა-ინგლისი | 2,6 | 2,0 | 3,8 |
| | | **8 ივნისი** | | | |
| 11.30 | 1024 | ს.აფრიკა-სლოვენია | 3,4 | 2,0 | 2,9 |
| 14.00 | 1025 | იტალია-ხორვატია | 1,8 | 2,3 | 6,5 |
| 16.30 | 1026 | ბრაზილია-ჩინეთი | 1,2 | 3,0 | 9,0 |
| | | **9 ივნისი** | | | |
| 11.30 | 1027 | მექსიკა-ეკვადორი | 2,6 | 2,0 | 3,8 |
| 14.00 | 1028 | კოსტა რიკა-თურქეთი | 4,7 | 2,1 | 2,2 |

**ფორმულა 1 (კანადა).**

**9 ივნისი 17:00**

**951 რბოლის გამარჯვებული**

| | |
|---|---|
| მ.შუმახერი | 1,5 |
| ბარიკელო | 4,0 |
| რ.შუმახერი | 6,0 |
| მონტოია | 6,0 |
| კულთარდი | 15,0 |
| რაიკონენი | 30,0 |
| ბატონი | 50,0 |
| ტრული | 50,0 |

**952 უსწრაფესი წრე**

| | |
|---|---|
| მ.შუმახერი | 1,9 |
| ბარიკელო | 2,8 |
| რ.შუმახერი | 6,0 |
| მონტოია | 6,0 |
| კულთარდი | 15,0 |
| რაიკონენი | 30,0 |
| ბატონი | 50,0 |
| ტრული | 50,0 |

**953 რამდენი პილოტი დაამთავრებს რბოლას**

| | |
|---|---|
| 9 ან ნაკლები | 4,0 |
| 10 ან 11 | 2,5 |
| 12 ან 13 | 3,0 |
| 14 ან მეტი | 3,0 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **5 ივნისი** | | | | | | | | | |
| 11.30 | 1115 | რუსეთი-ტუნისი | 2,2 | 10,0 | 20,0 | 3,2 | 5,0 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 14.00 | 1116 | აშშ-პორტუგალია | 11,0 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 5,0 | 3,0 | 25,0 | 12,0 | 1,9 |
| 16.30 | 1117 | გერმანია-ირლანდია | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| | | **6 ივნისი** | | | | | | | | | |
| 16.30 | 1118 | საფრანგეთი-ურუგვაი | 1,9 | 12,0 | 25,0 | 3,0 | 5,0 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 10,0 |
| 14.00 | 1119 | კამერუნი-საუდეთი | 1,5 | 20,0 | 40,0 | 3,0 | 5,3 | 18,0 | 40,0 | 20,0 | 18,0 |
| 11.30 | 1120 | დანია-სენეგალი | 3,4 | 8,0 | 20,0 | 4,4 | 4,0 | 6,5 | 20,0 | 8,0 | 4,7 |
| | | **7 ივნისი** | | | | | | | | | |
| 11.30 | 1121 | შვედეთი-ნიგერია | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 14.00 | 1122 | ესპანეთი-პარაგვაი | 2,1 | 12,0 | 25,0 | 3,1 | 4,7 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 16.30 | 1123 | არგენტინა-ინგლისი | 3,1 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,2 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 4,7 |
| | | **8 ივნისი** | | | | | | | | | |
| 11.30 | 1124 | ს.აფრიკა-სლოვენია | 4,0 | 10,0 | 20,0 | 5,3 | 4,4 | 4,7 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 14.00 | 1125 | იტალია-ხორვატია | 2,0 | 12,0 | 25,0 | 3,0 | 4,7 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| 16.30 | 1126 | ბრაზილია-ჩინეთი | 1,2 | 25,0 | 50,0 | 3,0 | 7,0 | 25,0 | 50,0 | 25,0 | 25,0 |
| | | **9 ივნისი** | | | | | | | | | |
| 11.30 | 1127 | მექსიკა-ეკვადორი | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,2 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 4,7 |
| 14.00 | 1128 | კოსტა რიკა-თურქეთი | 6,5 | 10,0 | 20,0 | 8,0 | 4,7 | 3,4 | 20,0 | 10,0 | 2,5 |


გაიხსნა კროკოს ახალი ბიურო
ახალციხე. ნათენაძის №7

მსოფლიოს ჩემპიონატის დღეებში
კროკო
ყოველდღიურად (ორშაბათის ჩათვლით) იმუშავებს
სამუშაო საათები 9⁰⁰ — 19⁰⁰
მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩების პირდაპირი რეპორტაჟების (ერთდროულად დანიშნული შეხვედრების შემთხვევაში, ორივე მატჩის პარალელურად) ნახვა და მოგებული თანხის თამაშის დამთავრებისთანავე მიღება შეგეძლებათ
ნებისმიერ ბიუროში


## რამდენი გოლი გავა მატჩში (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **5 ივნისი** | | |
| 11.30 | 2015 | რუსეთი-ტუნისი | 1,75 | 1,75 |
| 14.00 | 2016 | აშშ-პორტუგალია | 1,85 | 1,65 |
| 16.30 | 2017 | გერმანია-ირლანდია | 1,55 | 2,0 |
| | | **6 ივნისი** | | |
| 16.30 | 2018 | საფრანგეთი-ურუგვაი | 1,8 | 1,7 |
| 14.00 | 2019 | კამერუნი-საუდეთი | 2,2 | 1,45 |
| 11.30 | 2020 | დანია-სენეგალი | 1,7 | 1,8 |
| | | **7 ივნისი** | | |
| 11.30 | 2021 | შვედეთი-ნიგერია | 1,6 | 1,9 |
| 14.00 | 2022 | ესპანეთი-პარაგვაი | 1,75 | 1,75 |
| 16.30 | 2023 | არგენტინა-ინგლისი | 1,75 | 1,75 |
| | | **8 ივნისი** | | |
| 11.30 | 2024 | ს.აფრიკა-სლოვენია | 1,75 | 1,75 |
| 14.00 | 2025 | იტალია-ხორვატია | 1,65 | 1,85 |
| 16.30 | 2026 | ბრაზილია-ჩინეთი | 2,5 | 1,3 |
| | | **9 ივნისი** | | |
| 11.30 | 2027 | მექსიკა-ეკვადორი | 1,65 | 1,85 |
| 14.00 | 2028 | კოსტა რიკა-თურქეთი | 1,75 | 1,75 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს

| | | | კი | არა |
|---|---|---|---|---|
| **5 ივნისი** | | | | |
| 11.30 | 2115 | რუსეთი-ტუნისი | 1,8 | 1,7 |
| 14.00 | 2116 | აშშ-პორტუგალია | 1,75 | 1,75 |
| 16:30 | 2117 | გერმანია-ირლანდია | 1,75 | 1,75 |
| **6 ივნისი** | | | | |
| 16:30 | 2118 | საფრანგეთი-ურუგვაი | 2,0 | 1,55 |
| 14:00 | 2119 | კამერუნი-საუდეთი | 2,0 | 1,55 |
| 11:30 | 2120 | დანია-სენეგალი | 1,75 | 1,75 |
| **7 ივნისი** | | | | |
| 11.30 | 2121 | შვედეთი-ნიგერია | 1,75 | 1,75 |
| 14.00 | 2122 | ესპანეთი-პარაგვაი | 1,75 | 1,75 |
| 16.30 | 2123 | არგენტინა-ინგლისი | 1,65 | 1,85 |
| **8 ივნისი** | | | | |
| 11.30 | 2124 | ს.აფრიკა-სლოვენია | 1,75 | 1,75 |
| 14.00 | 2125 | იტალია-ხორვატია | 1,75 | 1,75 |
| 16.30 | 2126 | ბრაზილია-ჩინეთი | 2,1 | 1,2 |
| **9 ივნისი** | | | | |
| 11.30 | 2127 | მექსიკა-ეკვადორი | 1,75 | 1,75 |
| 14.00 | 2128 | კოსტა რიკა-თურქეთი | 1,75 | 1,75 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **5 ივნისი** | | | | |
| 11.30 | 2215 | რუსეთი-ტუნისი | 1,5 | 2,6 |
| 14.00 | 2216 | აშშ-პორტუგალია | 3,8 | 1,25 |
| 16.30 | 2217 | გერმანია-ირლანდია | 1,5 | 2,6 |
| **6 ივნისი** | | | | |
| 16.30 | 2218 | საფრანგეთი-ურუგვაი | 1,25 | 3,8 |
| 14.00 | 2219 | კამერუნი-საუდეთი | 1,15 | 4,7 |
| 11.30 | 2220 | დანია-სენეგალი | 1,75 | 2,1 |
| **7 ივნისი** | | | | |
| 11.30 | 2221 | შვედეთი-ნიგერია | 1,75 | 2,1 |
| 14.00 | 2222 | ესპანეთი-პარაგვაი | 1,35 | 3,2 |
| 16.30 | 2223 | არგენტინა-ინგლისი | 1,75 | 2,1 |
| **8 ივნისი** | | | | |
| 11.30 | 2224 | ს.აფრიკა-სლოვენია | 1,95 | 1,85 |
| 14.00 | 2225 | იტალია-ხორვატია | 1,25 | 3,8 |
| 16.30 | 2226 | ბრაზილია-ჩინეთი | 1,01 | 6,0 |
| **9 ივნისი** | | | | |
| 11.30 | 2227 | მექსიკა-ეკვადორი | 1,75 | 2,1 |
| 14.00 | 2228 | კოსტა რიკა-თურქეთი | 2,6 | 1,5 |

## I ადგილი ჯგუფში

**6 ივნისი**
**11.30 3001 A ჯგუფი**

| | |
|---|---|
| საფრანგეთი | 2,2 |
| ურუგვაი | 10,0 |
| დანია | 2,2 |
| სენეგალი | 2,2 |

**7 ივნისი**
**14.00 3002 B ჯგუფი**

| | |
|---|---|
| ესპანეთი | 1,05 |
| პარაგვაი | 6,0 |
| ს. აფრიკა | 10,0 |
| სლოვენია | 15,0 |

**8 ივნისი**
**16.30 3003 C ჯგუფი**

| | |
|---|---|
| ბრაზილია | 1,05 |
| თურქეთი | 8,0 |
| კოსტა რიკა | 6,0 |
| ჩინეთი | 99,0 |

**4 ივნისი**
**16.30 3004 D ჯგუფი**

| | |
|---|---|
| პორტუგალია | 1,5 |
| პოლონეთი | 3,2 |
| კორეა | 6,0 |
| აშშ | 10,0 |

**5 ივნისი**
**16.30 3005 E ჯგუფი**

| | |
|---|---|
| გერმანია | 1,1 |
| კამერუნი | 4,0 |
| ირლანდია | 4,2 |
| ს. არაბეთი | 100,0 |

**7 ივნისი**
**11.30 3006 F ჯგუფი**

| | |
|---|---|
| არგენტინა | 1,3 |
| ინგლისი | 3,3 |
| ნიგერია | 15,0 |
| შვედეთი | 6,0 |

**8 ივნისი**
**14.00 3007 G ჯგუფი.**

| | |
|---|---|
| იტალია | 1,1 |
| ხორვატია | 15,0 |
| მექსიკა | 4,0 |
| ეკვადორი | 20,0 |

**4 ივნისი**
**14.00 3008 H ჯგუფი.**

| | |
|---|---|
| რუსეთი | 2,5 |
| ბელგია | 2,5 |
| იაპონია | 3,0 |
| ტუნისი | 7,0 |

## რა ეტაპზე გავა გუნდი

| | ჯგუფში დარჩება | | 1/8 ფინალი | | ჩემპიონი | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 3101 | 5,0 | 3201 | 1,05 | 3601 | 4,0 |
| ბრაზილია | 3102 | 8,0 | 3202 | 1,01 | 3602 | 4,0 |
| იტალია | 3103 | 7,0 | 3203 | 1,02 | 3603 | 4,0 |
| საფრანგეთი | 3104 | 2,5 | 3204 | 1,2 | 3604 | 6,0 |
| ინგლისი | 3105 | 2,5 | 3205 | 1,3 | 3605 | 6,0 |
| გერმანია | 3106 | 8,0 | 3206 | 1,01 | 3606 | 8,0 |
| ესპანეთი | 3107 | 8,0 | 3207 | 1,01 | 3607 | 9,0 |
| პორტუგალია | 3108 | 6,0 | 3208 | 1,05 | 3608 | 15,0 |
| კამერუნი | 3109 | 2,0 | 3209 | 1,5 | 3609 | 30,0 |
| ნიგერია | 3110 | 1,05 | 3210 | 3,0 | 3610 | 75,0 |
| პარაგვაი | 3111 | 2,0 | 3211 | 1,5 | 3611 | 50,0 |
| შვედეთი | 3112 | 1,3 | 3212 | 2,3 | 3612 | 50,0 |
| რუსეთი | 3113 | 2,0 | 3213 | 1,5 | 3613 | 50,0 |
| პოლონეთი | 3114 | 1,8 | 3214 | 1,6 | 3614 | 50,0 |
| ურუგვაი | 3115 | 1,02 | 3215 | 3,3 | 3615 | 75,0 |
| ირლანდია | 3116 | 1,6 | 3216 | 1,8 | 3616 | 50,0 |
| ხორვატია | 3117 | 1,3 | 3217 | 1,9 | 3617 | 75,0 |
| ბელგია | 3118 | 1,9 | 3218 | 1,55 | 3618 | 50,0 |
| დანია | 3119 | 2,5 | 3219 | 1,15 | 3619 | 50,0 |
| იაპონია | 3120 | 2,0 | 3220 | 1,5 | 3620 | 50,0 |
| მექსიკა | 3121 | 1,95 | 3221 | 1,2 | 3621 | 50,0 |
| თურქეთი | 3122 | 1,8 | 3222 | 1,4 | 3622 | 75,0 |
| ს.აფრიკა | 3123 | 1,2 | 3223 | 3,0 | 3623 | 100,0 |
| ეკვადორი | 3124 | 1,15 | 3224 | 2,5 | 3624 | 100,0 |
| სლოვენია | 3125 | 1,1 | 3225 | 2,7 | 3625 | 100,0 |
| კორეა | 3126 | 1,35 | 3226 | 2,1 | 3626 | 100,0 |
| აშშ | 3127 | 1,15 | 3227 | 3,5 | 3627 | 100,0 |
| სენეგალი | 3128 | 1,7 | 3228 | 1,35 | 3628 | 75,0 |
| კოსტა რიკა | 3129 | 1,4 | 3229 | 1,8 | 3629 | 150,0 |
| ტუნისი | 3130 | 1,2 | 3230 | 2,8 | 3630 | 250,0 |
| ჩინეთი | 3131 | 1,01 | 3231 | 7,0 | 3631 | 500,0 |
| საუდეთი | 3132 | 1,0 | 3232 | 10,0 | 3632 | 999,0 |


# ჯილდო ათწლოვანი «კროკოსგან»

„კროკოს" ათწლოვან იუბილესთან დაკავშირებით საგანგებო წესით შევსებული ბილეთის მომგები მოგებული თანხის გარდა ჯილდოდ მიიღებს ახალთახალ „რენო მეგანს"

ჯილდოს დაწესების შესახებ ყოველი ტირაჟის გამოქვეყნებისთანავე გამოცხადდება

გადააბით ერთმანეთს 12 მატჩი და თუ თითოეულის კოეფიციენტი იქნება არანაკლებ 1,7, ხოლო ერთ თორმეტმატჩა ვარიანტზე ჩახვალთ ფსონს არანაკლებ 5 ლარისა, ოპერატორს მოსთხოვეთ ბილეთზე საგანგებო ბეჭდის დასმა და მოგებული თანხის გარდა მიიღეთ ჯილდო

# ახალთახალი «რენო მეგანი»




საქართველოში „რენოს" ოფიციალური იმპორტიორის საფირმო მაღაზიიდან

მისამართი: ვაჟა ფშაველას 58

საგანგებო ბილეთით მოგებული თანხა „კროკოს" წესების თანახმად გაიცემა „კროკოს" ნებისმიერ ოფისში, ჯილდოს მისაღებად კი მიმართეთ ცენტრალურ ოფისის ტელეფონებზე: 34-41-84, 34-79-81, 92-38-93

სარბიელი

**სპორტული ლატარია**

CROCO

BOOKMAKERS

**კროკო**

*ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.*

# კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III მიკრორაიონი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 7 კორპუსი | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | ცხინვალის გზატკეცილი №11 | წმინდაწყლის დასახლება |
| | სტალინის ქუჩა №14 | |
| | მშვიდობის გამზირი №11 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| | კოსტავას გამზირი №23 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №66 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| | ალმაშენებლის ქუჩა № 21 | (სავაჭრო ცენტრი ალამი 1) |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 13 | |
| ხელვაჩაური | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით აღმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ახმეტა | ჩოლოყაშვილის ქუჩა №49 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |

# კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

## რამდენ გოლს გაიტანს ძირითად დროში ჩემპიონატის მანძილზე

05.06 --- 14.00 ---- 2813 ------- პორტუგალია ------- 6 ან ნაკლები -------- 8 ან მეტი -------- (2,0-1,55)
05.06 --- 14.00 ---- 2816 ------- აშშ ------- 2 ან ნაკლები -------- 4 ან მეტი -------- (1,9-1,6)
05.06 --- 11.30 ---- 2829 ------- რუსეთი ------- 4 ან ნაკლები -------- 6 ან მეტი -------- (1,9-1,6)
05.06 --- 11.30 ---- 2832 ------- ტუნისი ------- 2 ან ნაკლები -------- 4 ან მეტი -------- (1,5-2,1)

## რომელი ჯგუფის ბუნდი გახდება ჩემპიონი

11 ივნისი. 11.30. 3701

A ---------- 4,2
B ---------- 7,5
C ---------- 4,0
D ---------- 10,0
E ---------- 6,0
F ---------- 3,0
G ---------- 3,8
H ---------- 20,0

## რამდენი გოლი გავა სულ ჩემპიონატში (ძირითადი დრო)

11 ივნისი. 11.30. 2501

159 და ნაკლები ---------- 1,9
165 ან მეტი ---------- 1,9

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|---|
| | | 5 ივნისი | | | |
| 11.30 | 2915 | რუსეთი-ტუნისი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 14.00 | 2916 | აშშ-პორტუგალია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 16.30 | 2917 | გერმანია-ირლანდია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| | | 6 ივნისი | | | |
| 11.30 | 2918 | საფრანგეთი-ურუგვაი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 14.00 | 2919 | კამერუნი-საუდეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 16.30 | 2920 | დანია-სენეგალი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| | | 7 ივნისი | | | |
| 11.30 | 2921 | შვედეთი-ნიგერია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 14.00 | 2922 | ესპანეთი-პარაგვაი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 16.30 | 2923 | არგენტინა-ინგლისი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| | | 8 ივნისი | | | |
| 11.30 | 2924 | ს.აფრიკა-სლოვენია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 14.00 | 2925 | იტალია-ხორვატია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 16.30 | 2926 | ბრაზილია-ჩინეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| | | 9 ივნისი | | | |
| 11.30 | 2927 | მექსიკა-ეკვადორი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 14.00 | 2928 | კოსტა რიკა-თურქეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |

## რამდენ მატჩში დაინიშნება პენალტების სერია

15 ივნისი
11.30. 2401

00-2 ---------- 2,2
3-4 ---------- 1,9
5 ან მეტი ---------- 3,3

## რომელი კონტინენტის ქვეყანა გახდება ჩემპიონი

11 ივნისი. 11.30. 3801

ევროპა ---------- 1,4
ამერიკა ---------- 2,3
აფრიკა ---------- 20,0
აზია ---------- 40,0

# იაშვილმა გერმანიას ბრაზილია ანაცვალა
## ლევერკუზენის ჩემპიონობა ფრაიბურგს მოაფულიანებდა



გერმანული „ფრაიბურგი“, სადაც დღესდღეობით ხუთი ჩვენებურია, ოთხი წლის შემდეგ ისევ მეორე ბუნდესლიგაში ითამაშებს.

გასულ ოთხ სეზონში „ფრაიბურგისთვის“ ყველაზე წარმატებული შარშანდელი იყო. იქამდე ბუნდესლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის მებრძოლი გუნდი შუა სეზონში მოლონიერდა და ჩემპიონთა ლიგის საგზურს მიახლოებული, საბოლოოდ მეექვსე ადგილსა და უეფას თასზე მონაწილეობას დასჯერდა. ასეთი შედეგი პატარა „ფრაიბურგს“ დიდ წარმატებად ჩაეთვალა.

ქართველების გუნდმა ახალი სეზონიც თითქოს კარგად დაიწყო. ბუნდესლიგის პარალელურად „ფრაიბურგი“ უეფას თასზეც თამაშობდა, თუმცა ორი ეტაპის დაძლევის შემდეგ თასის მომავალ მფლობელ „ფეიენოორდს“ დანებდა. მერე კი ნელ-ნელა ბუნდესლიგის ფსკერისკენაც დაქანდა. გაზაფხულამდე ამბობდნენ, ახალგაზრდული გუნდი ბუნდესლიგასთან ერთად უეფას თასზე თამაშმა გადაღალა, ფეხბურთელებმა დატვირთვებს ვერ გაუძლეს და ჩავარდნა ამის ბრალიაო, თუმცა „ფრაიბურგი“ ვერც გაზაფხულზე მოვიდა ფერზე და ბოლოსწინა ტურის შემდეგ უძლიერესებსაც დაშორდა. „ფრაიბურგის“ ერთ-ერთი ლიდერის, ტრავმებისგან დატანჯული ალექსანდრე იაშვილის აზრით კი გუნდის დაქვეითების მიზეზი აი, რა არის:

— „ფრაიბურგი“ არც „ბაიერნია“, არც „ლევერკუზენი“ და „დორტმუნდი“. ჩვენ მოკლე სათადარიგოთა სკამი გვაქვს. ერთი ფეხბურთელი თუ დაშავდა, მისი სრულფასოვანი შემცვლელი ძნელად მოგვეძებნება. ხშირი ტრავმები იყო „ფრაიბურგის“ გავარდნის მიზეზი. სტუმრად „ზანკტ პაულისთან“ პრინციპულ მატჩში მეკარე გოლცი დაიმტვრა, მას ტანკოც მიჰყვა, რომელმაც ჯვარედინი იოგები დაიზიანა, სელიმიც დაშავდა, რამდანეს კი უხეშობა სამთამაშიან დისკვალიფიკაციად დაუჯდა. არც მე ვიყავი ჯანზე, „კაიზერსლაუტერნთან“ შინ მოგებულ მატჩში კი ვითამაშე, მაგრამ ტრავმაც გავიმიზეზე და სეზონის ბოლომდე დავისვენე. როცა ერთბაშად რამდენიმე ფეხბურთელი ავად არის, ძნელია უნაკლოდ თამაში. პირველი წრის შემდეგ „ნიურბერგი“ ცხრა ქულით გვყავდა მოტოვებული, მაგრამ გაზაფხულზე ეს უპირატესობა თვალსა და ხელს შუა გაქრა.

— **გადაღლა არ იყო „ფრაიბურგის“ გავარდნის მიზეზი?**

— არა, ეს არაფერ შუაშია. უეფას თასზე „ფეიენოორდთან“ წაგების შემდეგ ჩვენი საზრუნავი მხოლოდ ბუნდესლიგაში ადგილის შენარჩუნება იყო. ზამთარში კარგადაც დავისვენეთ, ვფიქრობდით, რომ ნორმალურად მოვემზადეთ, მაგრამ მოკლე სკამმა მაინც იმოქმედა. შემადგენლობის ხშირი ცვლილება შედეგზე აისახა.

არადა, არ იმსახურებდა „ფრაიბურგი“ დაქვეითებას. ბუნდესლიგაში ჩვენზე სუსტი გუნდებიც იყვნენ. „ფრაიბურგმა“ ყველა მოწინავე გუნდი დაამარცხა „ბაიერნის“ გარდა და, ვფიქრობ, არც უეფას თასზე შევრცხვენილვართ. „ფეიენოორდს“ ტოლ-სწორად ვეთამაშეთ, უამრავი ნაღდი მომენტიდან ერთი-ორი მაინც რომ გამოგვეყენებინა, ჰოლანდიელებსაც გავცდებოდით.

— **„დორტმუნდის“ ჩემპიონობა კანონზომიერი იყო?**

— უფრო კანონზომიერი „ლევერკუზენის“ გამარჯვება იქნებოდა. უიღბლო გუნდი ყოფილა, ორი ფინალი ხომ ზედიზედ წააგო და ჩემპიონობაც სასწაულებრივად დათმო. „ლევერკუზენს“ რომ ემარჯვა, იქნებ არც ჩვენ გავვარდნილიყავით.

— **„ფრაიბურგს“ აქვს გაისადვე ბუნდესლიგაში დაბრუნების ძალა?**

— პოტენციით ჩვენ, ვთქვი კიდეც, ბუნდესლიგის გუნდი გვყავს. რა თქმა უნდა, დასაბრუნებლად ვიბრძოლებთ. თუ არ გამოგვივიდა, კლუბში ფინანსური საქმეც გაუარესდება. ტელემაგნატ კირხის გაკოტრებამ ჩვენზეც იმოქმედა, თუმც უძლიერესთა ლიგაში დაბრუნებით ამასაც ეშველება. კლუბის ხელმძღვანელობა სერიოზულადაა განწყობილი, მხოლოდ პირველი ბუნდესლიგა, ამბობენ ისინი. სეზონის შემდეგ „ფრაიბურგს“ ერთი ფეხბურთელიც არ გაუყიდია და მხოლოდ ლევან კობიაშვილის საკითხია გასარკვევი. გაისად ხუთ-ექვს ფეხბურთელს „ფრაიბურგთან“ კონტრაქტი უმთავრდება და წარმოიდგინეთ, მათ გაყიდვას იმიტომ მოერიდნენ, რომ ბირთვი შეინარჩუნონ. სეზონის ბოლოს კი შესაძლოა, ორსამ ფეხბურთელში მხოლოდ საკომპენსაციო თანხას გამორჩნენ.

— **ამ ხუთ-ექვს ფეხბურთელში საკუთარ თავსაც გულისხმობ?**

— კონტრაქტით „ფრაიბურგს“ მომავალი სეზონის ბოლომდე ვეკუთვნი.



ფრაიბურგმა შეტევის ლიდერი მეორე ბუნდესლიგისთვის დაიჭირა

— **ტრავმა მოიშუშე?**

— თბილისში წამოსვლის წინ გავესინჯე ბაზელში ექიმს, მითხრა, შეგიძლია ვარჯიშის განახლებაო. ჩამოველი თუ არა, სირბილი დავიწყე. მოსამზადებელ პერიოდში კი სრული დატვირთვით ვივარჯიშებ.

— **გადაწყვეტილია უკვე რომ „ფრაიბურგში“ დარჩები?**

— თითქმის გადაწყვეტილია. მწვრთნელ ფინკეს ვესაუბრე და პირდაპირ მითხრა, არ გაგიშვებ, გუნდს სჭირდებიო.

— **თავად არ გაქვს „ფრაიბურგის“ დატოვების სურვილი?**

— გუნდიდან წასვლა ჩემს სურვილზე არაა დამოკიდებული. კიდევ ერთი წელი დამრჩა „ფრაიბურგში“ სათამაშო. როცა გუნდთან კონტრაქტი გავაგრძელე, ბუნდესლიგაში მეხუთე ადგილზე ვიყავით და მაშინ ვინმეს რომ ეთქვა, „ფრაიბურგი“ მომავალ წელს გავარდებაო, დავცინებდი. სამწუხაროდ, გავვარდით და ახლა ვერც ხელმძღვანელობას მოვთხოვ, გინდა თუ არა, გამყიდეთ-მეთქი. მათი გადასაწყვეტია.

— **კი მაგრამ, ბუნდესლიგაში გატარებული ოთხი სეზონის შემდეგ მეორე ბუნდესლიგა შენთვის დაბალი დონე არ იქნება?**

— მართლაც ძნელი იქნება ბუნდესლიგას შეჩვეულისთვის დაქვეითება, მაგრამ რა ვქნა. მე რომ „ფრაიბურგთან“ კონტრაქტი არ მქონდეს, ულაპარაკოდ დავტოვებდი კლუბს. კონტრაქტი კი გითხარით, რა დროსაც გავაგრძელე. მაშინ წარმოუდგენელი მეგონა „ფრაიბურგის“ გავარდნა. ძალიან გამიჭირდება, მაგრამ ვალდებული ვარ ვითამაშო. სხვათა შორის, ამ სეზონის ბოლოს მე და კობიაშვილი ბუნდესლიგის ას საუკეთესო ფეხბურთელს შორის მოვხვდით და თუ გავითვალისწინებთ, რომ მარტო „დორტმუნდს“, „ლევერკუზენსა“ და „ბაიერნს“ ჰყავს ასი ერთმანეთზე უკეთესი ფეხბურთელი, ჩვენთვის ეს წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს.

— **რაკი „ფრაიბურგში“ რჩები, გვითხარი, რომელი კლუბები გეპატიჟებოდნენ?**

— არ ვიცი, ჩემთან საქმე არავის დაუჭერია, არაფერი უთქვამთ.

— **არც არაფერი გსმენია?**

— ყური მოვკარი, რომ „ვერდერს“ სურდა ჩემი გადაბირება. როცა ფინკეს ვესაუბრე და მითხრა, არ გაგყიდითო, რაღა აზრი ჰქონდა მისთვის მეკითხა, რომელი გუნდები მიწვევდნენ.

— **მსოფლიოს ჩემპიონატზე ვის ქომაგობ?**

— ბრაზილიას, ძალიან მაგარი გუნდია.

— **ამდენი ხანია, გერმანიაში თამაშობ და მაინც ბრაზილიას ქომაგობ?**

— გერმანისტი 1986-90 წლებში ვიყავი. 1992-96 წლების ევროპის ჩემპიონატებზეც მათ ვქომაგობდი, მაგრამ მერე გერმანია გერმანიას აღარ ჰგავდა, აღარც კლინსმანი თამაშობდა.

— **კლინსმანია შენი იდეალი?**

— არა, მომწონდა მისი თამაში. უფრო მეტად კი რომარიოს ვაფასებ.

— **გული დაგწყდა, მწვრთნელმა რომ რომარიო შინ დატოვა?**

— რა თქმა უნდა, თუმც ბრაზილიას რონალდოც ჰყავს. რა გოლი გაუტანა თურქებს?

— **ჩემპიონი ვინ გახდება?**

— ბრაზილია.

— **გერმანია სადამდე გაალწევს?**

— ძნელია არაბებთან თამაშის მერე გერმანელთა ნაღდი ძალა შეაფასო. ისე, გერმანია მაშინ უფრო საშიშია, როცა ფავორიტად არ ითვლება. ვინც ფავორიტია, სწორედ ის ვერ გაიმარჯვებს.

— **ესე იგი, საფრანგეთი და არგენტინა?**

— ჰო, თუმც არგენტინაც კარგი გუნდია. ჩემპიონი კი ბრაზილიაა.

**ძოზა ინასარიძე**

# ბათუმი ნივამ დაიჭირა
## ბალაძე: გმადლობთ, მშვიდობით!



ასლან ბალაძე

*საქართველოს ჩემპიონატების ერთ-ერთი გამორჩეული გუნდი „ბათუმი“ ბოლო წლებია, გაცემულ ავანსებს ვერ ამართლებს. უკვე დასრულებულ მეცამეტე ეროვნულში ზღვისპირელებმა კარგად კი დაიწყეს, მაგრამ მერე საქმეები აერიათ და ზექვსეულში უპატრონოდ მიტოვებულ „მერანსაც“ ჩამორჩნენ სატურნირო ცხრილში.*

*ახლა „ბათუმი“ ისვენებს და მომავალი სეზონისთვის ემზადება, თუმც ნახევარზე მეტი გუნდს დატოვებსო, იმუქრება ზღვისპირელთა თავკაცი. რამ გაანაწყენა ასლან ბალაძე და რას თვლის გუნდის ჩავარდნის მიზეზებად, მისივე ნაუბრიდან შეიტყობთ.*

— **ახლა** შვებულებაში ვართ და მომავალ ჩემპიონატზე ვფიქრობთ. განვლილი სეზონით გულგატეხილი კი ვარ, მაგრამ ამას უკვე არაფერი ეშველება. ახლა მთავარია, იგივე შეცდომები არ გავიმეოროთ.

— **მაინც რას თვლით წარუმატებლობის მიზეზად?**

— ვაღიარებ, რომ ზოგიერთი ფეხბურთელის მიმართ ზედმეტი ლმობიერება გამოვიჩინე. თუმც ასეთი ცუდი შედეგის სხვაზე გადაბრალებაც არ მინდა. თავიდან კარგად დავიწყეთ, მაგრამ მეორე ეტაპზე ყველაფერი წყალში ჩავყარეთ. რა მოხდა? ეს ჯერაც ვერ გამიგია. საკუთარ პასუხისმგებლობას არ გავურბივარ, თუმც ის ფეხბურთელები, რომელთაც ჩემი მითითებები ვერ შეასრულეს და გუნდს ვერაფერი არგეს, საკადრისად დაისჯებიან.

ნახევარზე მეტი გუნდს დატოვებს. უბრალოდ მათ არ სურდათ ან ვერ გაართვეს თავი „ბათუმში“ თამაშს. ასეთი ფეხბურთელები კი მე არ მჭირდება. მათ მადლობას გადავუხდით და დავემშვიდობებით...

— **ხომ არ დააკონკრეტებდით?**

— ჯერჯერობით თავს შევიკავებ, მაგრამ ვფიქრობ, ამის გაკეთება მალე მომიწევს. 7-8 ფეხბურთელის წასვლა თითქმის გადაწყვეტილია, თუმც ახლა მათ ვინაობას ვერ გაგიმხელთ. მალე კლუბის ხელმძღვანელობას უნდა შევხვდე და ამის შემდეგ ყველაფერი გაირკვევა. ცვლილებები ბლომად იქნება.

— **ხომ არ გგონიათ, რომ სეზონის წინ ტერნოპოლის „ნივადან“ მოწვეულ ავთანდილ გვიანიძეზე უარის თქმა შეცდომა იყო?**

— გვიანიძე ჩვენ არ გაგვიშვია. უბრალოდ, ეს იძულებითი ნაბიჯი იყო. მის შესაძლებლობებში საწვრთნელ შეკრებებზეც კარგად დავრწმუნდი და ვფიქრობდი, დიდ სამსახურს გაგვიწევს-მეთქი, მაგრამ უკრაინელებმა ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბეს. რომ შეხედეს, გვიანიძე გვჭირდებოდა, უზომოდ დიდი თანხა მოითხოვეს. შეიძლება ითქვას, „დაგვიჭირეს“. ამდენის გადახდა კი ჩვენ ვერ შევძელით. ამიტომ მოგვიხდა მასზე უარის თქმა.

— **ახალი ფეხბურთელები ხომ არ შეგიგულებიათ?**

— რამდენიმე ფეხბურთელი კი მყავს მიზანში, თუმც ამაზე საუბარი ჯერ ნაადრევია. ახლა მთავარი აქცენტი სტადიონის მშენებლობაზეა გადატანილი. სამუშაოები დღეს დაიწყო და მომავალ სეზონში „ბათუმს“ ახალი, გარემონტებული სტადიონი ექნება. ჰოდა, კარგ სტადიონს კარგი გუნდიც უნდა. ამიტომ ვცდილობთ, ბრძოლისუნარიანი და ამბიციური ბიჭების შეკრებას. ახალგაზრდებს რამდენიმე გამოცდილ ფეხბურთელსაც დავუმატებთ და მათთან ვიმუშავებთ. განვლილმა სეზონმა ამის აუცილებლობა კარგად დაგვანახა. კონტიგენტი აშკარად გადასახალისებელია.

**ბაზა ზალამბერიძე**




# იყიდება

მეცხრამეტე და მეოცე საუკუნის დასაწყისში დასტამბული უნიკალური წიგნები, ასევე სხვა მნიშვნელოვანი გამოცემები. ტ. 30-75-81

## ლოს ანჯელესის ლეიკერსი

რეგულარული ჩემპიონატი: 58 მოგება, 24 წაგება;
მესამე ადგილი დასავლეთ კონფერენციაში
პლეი ოფი: პორტლენდი 3:0, სან ანტონიო 4:1, საკრამენტო 4:3

ლიდერები პლეი ოფში: კობი ბრაიანტი 26,6 ქულა, 5,9 მოხსნა, 4,4 პასი; შაყილ ონილი 26,4 ქულა, 12,7 მოხსნა; რიკ ფოქსი 9,8 ქულა; რობერტ ჰორი 9,6 ქულა, 8,3 მოხსნა, დერიკ ფიშერი 9,5 ქულა

მწვრთნელი: ფილ ჯექსონი

## პლეი ოფი. ფინალი

| | |
|---|---|
| ოთხ მოგებამდე | |
| 5 ივნისი | ლოს ანჯელესში |
| 7 ივნისი | ლოს ანჯელესში |
| 9 ივნისი | ისტ რეზერფორდში |
| 12 ივნისი | ისტ რეზერფორდში |
| თუ საჭირო გახდა | |
| 14 ივნისი | ისტ რეზერფორდში |
| 17 ივნისი | ლოს ანჯელესში |
| 19 ივნისი | ლოს ანჯელესში |

## ნიუ ჯერსი ნეთსი

რეგულარული ჩემპიონატი: 52 მოგება, 30 წაგება;
პირველი ადგილი აღმოსავლეთ კონფერენციაში
პლეი ოფი: ინდიანა 3:2, შარლოტი 4:1, ბოსტონი 4:2

ლიდერები პლეი ოფში: ჯეისონ კიდი 19,2 ქულა, 8,9 პასი, 8,2 მოხსნა; კენიონ მარტინი 15,5 ქულა, 5,6 მოხსნა; კიტ ვან ჰორნი 14,0 ქულა, 6,9 მოხსნა; კერი კიტლზი 11,9 ქულა; მაკალოფი 9,1 ქულა

მწვრთნელი: ბაირონ სკოტი

# ლეიკერსი საღამოა მშვიდი
## ნიუ ჯერსი ქუხილია უამინდო

„ბოლო სამი წელია, ერთი და იგივე გვესმის, რომ ჩემპიონი აუცილებლად დასავლელი გახდება და მისი ვინაობაც თითქოს წინასწარაა ცნობილი. ადრე გვახალისებდა ეს სულელური მტკიცებები, მაგრამ ახლა, როდესაც ჩვენ თავად ვმონაწილეობთ ფინალში, ცოტა ნერვები გვეშლება. ჩვენს ჩამომწერებს ამას ვეტყვით, მოდი, ცოტა წავითამაშოთ და მერე ვილაპარაკოთ" — უთხრა ტელერეპორტიორებს „ნიუ ჯერსის" მთავარმა მწვრთნელმა ბაირონ სკოტმა. მოგვიანებით, საგაზეთო ინტერვიუში, მან თავად მოხსნა გულას პირი: „ჩვენ შეგვიძლია მოვუგოთ „ლეიკერსს", რადგან მასზე უკეთესი გუნდი ვართ. გულწრფელად გეტყვით, უკეთესიცაა, მას რომ ვხვდებით და არა „საკრამენტოს". ჩემი აზრით, „საკრამენტო" „ლეიკერსზე" გაცილებით ძლიერი გუნდია და ჩვენთან თამაშს ის უფრო იმსახურებდა, მაგრამ მსაჯებმა „დაწვეს". ამის მისახვედრად განმეორებით ნახვაც არ იყო საჭირო. მატჩის ცოცხლად ნახვისასაც ჩანდა, რომ მეექვსე თამაშში მეექვსე ჯარიმა მოუგონეს საკრამენტოელ სკოტ პოლარდს მაშინ, როცა ის, სულ ცოტა, ერთ მეტრში იდგა შაკილ ონილისგან. ანდა ჯარიმა დაუსტვინეს ლუგ კრისტის, როცა კობი ბრაიანტს ის კი არა, კრის ვებერი მეურვეობდა და, სხვათა შორის, კორექტულადაც. სხვა შემთხვევაში კობიმ იდაყვი მიარტყა მაიკ ბიბის და ამაშიც ბიბია დამნაშავე, იმიტომ ხომ არა, რომ „ლეიკერსის" მოწინააღმდეგე გუნდში თამაშობს? ჩვენც ძირითადად მსაჯთა შეგნებული სიბეცის გვეშინია, თორემ ალალ ბრძოლაში „ლეიკერსის" დამარცხება შეგვიძლია".

საერთოდ, ბაირონ სკოტს უყვარს ლაპარაკი. ამ შემთხვევაში მისი სიტყვები იმის ნათელი მაგალითია, თუ როგორ ღელავენ ასეთ სერიოზულ გამოცდაზე პირველად გასული ნიუჯერსელები. ისინი თვითონვე ქოქავენ საკუთარ თავს.

ნაღდი ფინალი ოთხშაბათს იწყება. მანამდე კი კონფერენციების ფინალებში გამარჯვებულები ალესილი ენებით კოდავენ ერთმანეთს, რაც ძალიან ჰგავს მოკრივეთა წინასამატჩო ბაქიბუქს. ისიც ბუნებრივია, რომ მეტს იქადნება და იჭაჭება „ნიუ ჯერსი", სპეციალისტთაგან წინასწარ ჩამოწერილი და ამით გაღიზიანებული ახალბედა პრეტენდენტი. ხოლო ტიტულის დამცველ ძველ ჩემპიონ „ლეიკერსს" თავი შედარებით დინჯად და ღირსეულად უჭირავს, მისი ბაქიბუქის დრო კარგა ხანია, გავიდა. ახლა ველარ მოისმენთ შაკისა და კობის ტუტუცურ და პატივმოყვარე, დაახლოებით ასეთ სიტყვებს — „ჩვენ ყველას გადავუვლით!" ისინი გაზეთის ფურცლებზე ნიუჯერსელებმა შეცვალეს.

„ლეიკერსის" მწვრთნელ ფილ ჯექსონის ადგილზე სხვა რომ ყოფილიყო, ბაირონ სკოტს უთუოდ შეახსენებდა, რომ ბატონი სკოტი მხოლოდ მეორე წელია, მწვრთნელია და არსებითად ბევრი არაფრისთვის მიუღწევია, ხოლო რისთვისაც მიუღწევია, ამაში საკუთარ ცოდნაზე მეტად ჩაუქი შეგირდები მიხმარებიან. მაგრამ დიდი ფილი ბრძენი კაცია, სკოტის სიტყვებზე ჭალარა ულვაშებში ეღიმება და 12-წლიან სამწვრთნელო კარიერაში მეცხრე ჩემპიონობისთვის ემზადება. მას სურს ჩემპიონობა, მაგრამ არა იმიტომ, რომ ამ მხრივ რეკორდსმენს, ცხრაგზის ტიტულიან დიად რედ აუერბახს უნდა დაეწიოს, არამედ იმიტომ, რომ მისი საქმე ესაა: გუნდი ჩემპიონი გახადოს. უბრალოდ, გადაჩვევია სხვა შედეგს.

„ნიუ ჯერსი ნეთსს" ჰყავს უყოჩაღესი გამთამაშებელი ჯეისონ კიდი და კარგად ეხერხება საკუთარ ნახევარზე ზონური დაცვის ბადის მოქსოვა, მაგრამ ნბა-ს ფინალში პირველად გასულ ჯერსელებს საშინლად გაუჭირდებათ 13-გზის ჩემპიონთა ძლევა. აქ ისტორიული წარმატებები და ტრადიციები არაფერ შუაშია. ბაირონ სკოტის დარად, გამარჯვებულის წინასწარ გარკვევის მცდელობაში ნუ ჩამოგვართმევთ და, „ლეიკერსი" „ნიუ ჯერსიზე" უკეთესი გუნდია, თუნდაც იმიტომ, რომ ბოლო 11 საპლეიოფო სერია მოუგია. უკეთესია თუნდაც იმიტომ, რომ ჰყავს შაკილ ონილი და კობი ბრაიანტი. ფინალის დებიუტანტ აღმოსავლელთა უდიდესი თავსატკივარიც ეს ბიჭები არიან.

ნბა-ს წესებში ზონური დაცვის დაშვებამ შეუდარებლად გააიოლა 216-სანტიმეტრიანი და 155-კილოგრამიანი შაკის მეურვეობა და მისი საშუალო შედეგიანობა ხუთიოდ ქულით შეამცირა, მაგრამ „ნიუ ჯერსისთვის" ეს დევკაცი მაინც იქნება უდიდესი პრობლემა. ბაირონ სკოტის განკარგულებაშია სამი არცთუ ხეირიანი ცენტრი, რომელთა შორის უმძიმესი და უმაღლესი, სოფლელი ბიჭის შესახედაობის ბოთე თეთრი ტოდ მაკალოფი სასტარტო ხუთეულში ითამაშებს და შაკს ყოველ ხელსაყრელ შემთხვევაში სპორტულად წაეძიძგილავება, ხოლო დანარჩენი ორი, აარონ უილიამსი და ჯეისონ კოლინზი მაქსიმალურად ხშირად დაასვენებენ ნბა-ს უმძიმესი ბიჭის წინააღმდეგ თამაშისჯილ საწყალ ტოდს. ბაიონ სკოტი ბედნიერი იქნება, თუ ეს ტრიო შაკს 25 ქულაზე მეტს არ ჩააგდებინებს. უკიდურეს შემთხვევაში მისაღებია 30-ქულიანი ზღვარიც.

სკოტი შექებს შეგირდებს, თუკი ისინი „ლეიკერსის" მეორე ლიდერის, კობი ბრაიანტის წინააღმდეგაც ასეთივე წარმატებით ითამაშებენ, მაგრამ არც ესაა იოლი საქმე. ჯეისონ კიდი კარგი დამცველია, მაგრამ კობიზე დაბალია, ხოლო ასევე რიგიანი მცველი კენიონ მარტინი ბრაიანტზე მაღალი და ამდენად მოუქნელია. სკოტი იმედოვნებს, რომ კობი ისევე ჩაიკარგება მისი გუნდის ზონურ დაცვაში, როგორც აღმოსავლეთის ფინალისას თითქმის კობივით ჩაუქი ბოსტონელი პოლ პირსი.

ეს დაცვაში, შეტევაში კი ნიუჯერსელ „ბადეებს" ნაკლები საფიქრალი აქვთ. შესცქერიან შეტევათა ორგანიზების ჯადოქარს ჯეისონ კიდს და ბაქიბუქის სურვილი უჩნდებათ. წინ კი ფინალია, სადაც მოთმინებით იცდის ვერავისგან ძლეული „ლეიკერსი". ვითომ „ნიუ ჯერსია" ამ მანქანის გამჩერებელი?!

**ირაკლი ფირცხვილი**





ჯეისონ კიდის „ნიუ ჯერსის" ბაქი-ბუქი შაყილ ონილს და მისიანებს არ აშფოთებთ



## სტენლის თასი ფინალი
## დეტროიტი VS კაროლინა

პლეი ოფში ერთმანეთს არ შეხვედრიან. 2001=02 +1=1-0

### საპლეიოფო ლიდერები

*დეტროიტი:* სტივ აიზერმანი (6 გოლი+13 პასი), ბრენდან შენაჰანი (5+11), ბრეტ ჰალი (8+7), სერგეი ფიოდოროვი (4+10), ნიკლას ლიდსტრიომი (4+9)

*კაროლინა:* ბეიტს ბატალია (5+9), რონ ფრენსისი (5+8), რობ ბრინდამორი (3+8), ერიკ კოული (6+3), ჯეფ ონილი (5+4)

### მიღწევები

*დეტროიტი:* თასის 9-გზის მფლობელი (ბოლოს 1998)

*კაროლინა:* თასის ფინალისტი (2002)



დეტროიტელთა უსახელოვანეს მეკარეს დომინიკ ჰაშეკს სტენლის თასი ჯერაც ვერ მოუგია, და ჰა, შანსიც არის — ოცნების ახდენამდე ერთი ფინალური სერიაღა დაურჩა

# კაროლინა ისტორიის და ყველას წინააღმდეგ
## ტრადიციით და საყოველთაო აზრით, დეტროიტმა უნდა მოიგოს

**პლეი ოფის** დაწყებამდე ვინმესთვის რომ გეკითხათ, ამ გუნდების სერია როგორ დასრულდებაო, უმეტესობა, ალბათ, დეტროიტის 4:0 გამარჯვებას იწინასწარმეტყველებდა. თავიდან დეტროიტი და კაროლინა, რომ იტყვიან, სხვადასხვა წონით კატეგორიაში გადიოდნენ, ან ვინ იფიქრებდა, კაროლინა ფინალში თუ მოხვდებოდა. და აი, ბევრისთვის მოულოდნელად, პატარა როლის ყოჩაღმა გუნდმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ აღმოსავლეთში ყველაფერია მოსალოდნელი. თუმც ამით იმის თქმა სულაც არ გვინდა, რომ „ქარიშხლებმა" შემთხვევით გაიმარჯვეს. მართალია, მათ აქამომდელ მეტოქეებს პრობლემები არ დაელიათ (თუნდაც ტორონტოს ლიდერების ტრავმები გავიხსენოთ), მაგრამ ნახევარფინალშიც და მანამდეც კაროლინა მეტოქეზე უკეთ თამაშობდა. რაც მთავარია, გუნდმა გონიერება და მოთმინება გამოამჟღავნა. თავკაცმა პოლ მორისმა ერთხელაც დაამტკიცა, რომ საშუალო მოთამაშეებისგანაც შეიძლება სოლიდური გუნდის შექმნა, თუ ისინი აწყობილ სისტემას უერთგულებენ და მითითებებს ზედმიწევნით შეასრულებენ. ჩრდილოამერიკულ პრესაში უკვე გაჩნდა ტერმინი — „კაროლინას სისტემა", რაც თავისთავად ბევრს ნიშნავს. ეს სისტემა ანუ ტაქტიკა დაცვაში საიმედო თამაშსა და მწვავე კონტრშეტევებზეა აგებული და აქამდე ძალიანაც გაამართლა. ასე რომ, მძიმე ბრძოლაა მოსალოდნელი ფინალში. თუმც დეტროიტის შანსები გაცილებით მაღალია. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ „წითელფრთიანებმა" ფინალს ტრავმების გარეშე უწიეს, თან მათი ლიდერებიდან ყველა საუკეთესო ფორმაშია. ვინ იცის, რომელი „გაისვრის". ისტორიას არ ახსოვს შემთხვევა, რომ აშკარა ფავორიტი დამარცხებულიყოს ფინალში. ალბათ, არც ეს იქნება გამონაკლისი. თუმც, იმედია, კაროლინა ფლორიდასა და ვაშინგტონს არ დაემსგავსება. შეგახსენებთ, რომ ამ გუნდებმაც მიაღწიეს ფინალს, შესაბამისად, 1996 და 1998 წლებში, მაგრამ უსიტყვოდ დაყარეს ფარ-ხმალი.

**ESPN-ის პროგნოზი: 4:2 დეტროიტის სასარგებლოდ.**

**სამველ ლარიბიანი**



დეტროიტელთა მთავარი ვეტერიტეტი, სკოტი ბოუმენი თავის შეგირდებს თასის მეცხრედ მოსაპოვებლად ამზადებს

# როლან გაროსი 2002

## საფრანგეთის ღია პირველობა

პარიზი. თიხნარი. საპრიზო 12 234 850 ევრო



მარატ საფინი ემოციური კაცია



REUTERS

ანდრე აგასი აუჩქარებლად იგებს

# როცა ამაზე ცუდად უკვე აღარ შეიძლება... ნუ მიაყენებთ ანდრეს კედელთან

**ვაჟები**

**მეოთხე წრე**

4 ივნისი

**მარატ საფინი (2, რუსეთი) — არნო დი პასკუალე (საფრანგეთი) 3:6, 6:4, 6:3, 6:2; ანდრე აგასი (4, აშშ) — პოლ-ანრი მატიო (საფრანგეთი) 4:6, 3:6, 6:3, 6:3, 6:3; სებასტიან გროსჟანი (10, საფრანგეთი) — ქსავიე მალისი (ბელგია) 6:2, 7:5, 6:3; ხუან კარლოს ფერერო (11, ესპანეთი) — გასტონ გაუდიო (31, არგენტინა) 6:7 (3:7), 6:1, 6:7 (5:7), 6:2, 6:4**

იყო მომენტი:

როცა თავად მას ჩოგანი აღარ ემორჩილებოდა, მეტოქეს კი გაელაღა და უპირატესობას ზრდიდა და ზრდიდა.

უკან ორი წაგებული სეტი და მესამე სეტის დასაწყისშივე დაკარგული საკუთარი ჩაწოდება რჩებოდა.

მაშინ მან გაიფიქრა:

„ამაზე ცუდად თამაში უკვე აღარ შემიძლია" და... დაიწყო.

როცა მას უჭირს, უფრო გამეტებით ჩოგნაობს, როცა ის უფსკრულის პირას დგას, მისი დარტყმები კიდევ უფრო რისკიანი ხდება.

ასეთ გახელებას იგი არაერთხელ გადაურჩენია. ბედისწერასთან შეკრული ამ კაცის მორევა ორშაბათს ვერც 20 წლის უნიჭიერესმა ფრანგმა, პოლ-ანრი მატიომ შეძლო.

„როცა მას გადამწყვეტი ქულის მოგება სურს, ამას აკეთებს კიდეც" — ამბობდა ნამატჩევს გაოგნებული ფრანგი ჭაბუკი, ვისაც ხელთ მსოფლიოში ოდენ 107-ე ჩოგანი უპყრია და საყოველთაო ყურადღების ცენტრში მეორე-მესამე წრეებში ირჟი ნოვაკისა (14) და ფაბრის სანტოროს (23) ძლევის შედეგად მოექცა.

„ასეთ ვითარებაში ის ალბათ 200-ჯერ მაინც მოხვედრილა, ჩემთვის კი ეს ჯერაც უნახავი საშინელება გახლდათ. განსხვავებაც სწორედ ეს არის" — დასძინდა მატიო.

და მაინც რამხელაა ეს განსხვავება?

თუკი მას რიცხვებში გადავიყვანთ, პასუხად 705-ს მივიღებთ. სწორედ ამდენით მეტი თამაში მოუგია ანდრე აგასის 12 წლით უმცროს მეტოქეყოფილთან შედარებით, რომლის აქამომდელი სატურო მონაგარიც, გაწი-გამოწი, მხოლოდ 8 მოგებას მოიცავს!

„ეი, თქვენ ხომ არ გაგიჟდით, ეს ხომ აგასი იყო!" — ასე უპასუხა მატიომ შტერულ კითხვაზე, თითქმის მოგებული შეხვედრის წაგება როგორ მოახერხეო...

და თავად ანდრე?

ნამატჩევს იგი აი, ასე საუბრობდა: „ამ ეტაპზე არც თავდაჯერება შველის, არც არაფერი. მთავარია, ის გზა იპოვო, გამარჯვებას რომ მოგიტანს. სანამ თამაშობ, არაფერი დაგიკარგავს, სანამ არ წაგიგია, მოგების შანსი საიდლაც კიდევ გეგულება. ასეთი მდგომარეობებიდან ადრეც გამოვმძვრალვარ და ერთადერთი, რაც დასტურ ვიცი — არ უნდა აჩქარდე, საჭირო ქულა უნდა მოიგო და ჩარხიც თავისთავად შეტრიალდება".

ახლა აგასის ესპანელ ხუან კარლოს ფერეროსთან (11) შეხლა მოუწევს და სანამ ხუანის წინა, 5-სეტიან მატჩზე გიამბობდეთ, ცოტა რამ მისი აგასისწინა განსჯებიდან:

„ანდრესთან თამაში პირველად მომიწევს და ძალიან მინდა, ამ შეხვედრამ ჩვენც დიდი სიამოვნება მოგვიტანოს და ქომაგებსაც. იგი მსოფლიოს ერთი საუკეთესოთაგანია და მასთან დაპირისპირება ყველასთვის საუცხოო შესაძლებლობაა".

მეოთხე წრეში „კოლომ", როგორც მას საჩოგნეთში მოიხსენიებენ, ჩვენიან ირაკლი ლაბაძის მძლეველს, უნიჭიერეს არგენტინელ მეთიხნარე გასტონ გაუდიოს (31) აჯობა, ვისაც — სხვათა შორის — წინა 4 შეხვედრიდან მისთვის 3-ის მოგება მოჰხერხებია.

თავის ზედიზედ მესამე როლანგაროსულ მეოთხედფინალში გასაღწევად ფერეროს 3 საათიანი და 50 წუთიანი ბრძოლის გადატანა დასჭირდა. გაუდიომ პირველ და მესამე სეტებში სეტბურთების მოგერიება და სეტების მოგება შეძლო, მაგრამ გადამწყვეტ სეტში, რომელსაც 3:1 იგებდა, მეტოქეს თავისი ორი გეიმი ჩააბარა და ზედ სამეოთხედფინალო საგზურიც მიაყოლა.

2000 და 2001 წლებში ფერერო მხოლოდ ნახევარფინალში და ისიც მომავალი ჩემპიონის, გუსტავო კუერტენისგან იძლია. წლეულს გუგა უკვე აბარგებულია და, ვნახოთ, შეძლებს კოლობიჭი ბებერი აგასის გავლას, კაცისა, ვისაც იქაურ მეოთხედფინალში 7-ჯერ უთამაშია და მხოლოდ ორჯერ დამარცხებულა.

სხვაფრივ — თავის მეორე პარიზულ მეოთხედფინალში მონაწილეობა რუსმა მარატ საფინმა (2) ფრანგ ნაკვალიფიკაციევ არნო დი პასკუალესთან ისე-რა ბრძოლაში დაიბევა. ადგილობრივ ქომაგებს პირველი სეტის მერე ოდნავ გული კი მიეცათ, მაგრამ რუსი გოლიათი ჩინებული მეთიხნარე გახლავთ და კაღნიერ მეტოქეს ეს პირველი ჩაწოდებიდან 2 საათისა და 36 წუთის თავზე დამაჯერებლად დაუმტკიცა კიდეც.

საფრანგეთის ღია პირველობის ბოლო „რვეულამდე" საფინს ორი წლის წინაც მიუღწევია, მაგრამ მაშინ ის შვედმა მაგნუს ნორმანმა დაჯაბნა. ამჯერად ბედს რუსი ასევე ფრანგის, მაგრამ რანგითა და სიჩაუქით დი პასკუალესთან შედარებით გაცილებით მაღლა მდგომ სებასტიან გროსჟანთან (10) ცდის.

გროსჟანი, მიუხედავად საკმაოდ უფერული თამაშისა, თავის მერვედფინალელ მეტოქეს, ბელგიელ ქსავიე მალისს სეტისდაუთმობლად და ორსაათნახევარში გაუსწორდა. იგი შარშანდელი ნახევარფინალისტია და ვაჟთა მეოთხედფინალში ადგილობრივ ქომაგთა ერთადერთი ფალავანი იქნება.

სულ ბოლოს კი იმას თქმაც იუპრიანებდა, რომ აქ ნახსენებ მეოთხედფინალისტთაგან სამი — საფინი, გროსჟანი და ფერერო ამა თუ იმ ტრავმით შეწუხებული ხალხია. პირველს ზურგი სტკივა, მეორეს საზარდული აწუხებს, ფერერომ კი ამ ოთხი დღის წინ მუხლი ისე ჩაიბრუნა, რომ ტურნირს კი არა, საერთოდ კორტს კინაღამ დააშორეს. თუმცა კინაღამ არ ითვლება, საფინი და გროსჟანიც ტრავმებს დიდად არ იმჩნევენ და ვინმე თუ მათზე ფსონის ჩასვლას გადაწყვეტს, ღმერთმა ხელი მოუმართოს. ისე კი — ეს შეხვედრები დღეს შედგება და ვინძლო, ძირითადად ნაფეხბურთევს!

**ლევან ძიღაურაძე**

4 ივნისი

**ქალები**

**მეოთხედფინალი**

**სერენა უილიამსი (3, აშშ) — მარი პირსი (საფრანგეთი) 6:1, 6:1; ვინუს უილიამსი (2, აშშ) — მონიკა სელეში (6, აშშ) 6:4, 6:3; კლარისა ფერნანდესი (არგენტინა) — პაოლა სუარესი (არგენტინა) 2:6, 7:6 (7:5), 6:1; ჯენიფერ კაპრიატი (1, აშშ) — ელენა დოკიჩი (7, იუგოსლავია) 6:4, 4:6, 6:1**

**ვაჟები**

**მეოთხედფინალი**

**ალბერტ კოსტა (20, ესპანეთი) — გილერმო კანასი (15, არგენტინა) 7:5, 3:6, 6:7 (3:7), 6:4, 6:0**



## მსოფლიო სერია. 1-2 ივნისი, კარდიფი

# შვიდკაცა უქულოდ დაბრუნდა

**საქართველოს** შვიდკაცა ნაკრებმა ამ უქმეებზე უელსურ კარდიფში მსოფლიო სერიის ტურნირში ითამაშა. ქართველებმა 16 გუნდში მე-14 ადგილი დაიკავეს და სარეიტინგოდ ქულაც შემატეს ვერ მოიპოვეს.

ჯგუფში ორი მატჩის წაგების (სამხრეთ აფრიკასთან 12:33 და სამოასთან 0:34) შემდეგ სორელის შვიდეულმა ესპანეთს 19:12 მოუგო და ფიალისთვის (მე-9 ადგილი) განაგრძო ბრძოლა. ფიალის მეოთხედფინალში ჩვენები პორტუგალიასთან 5:7 დამარცხდნენ და მერე ვერც სანუგეშო ტურნირში აჯობეს რუსეთს (5:15).

კარდიფის შვიდკაცა კი ახალზელანდიამ მოიგო, რომელმაც ფინალში ინგლისს 24:12 სძლია.

# ესეც საქართველო ა

**სარაგბო** მსოფლიოში „ა" ნაკრები თითქმის ყველა ქვეყანას ჰყავს. ამ ნაკრების დანიშნულება ეროვნული გუნდისთვის მორაგბეების მომზადება და კანდიდატების საქმეში ნახვაა.

გეხსომებათ, შარშან ერთი კვირის ინტერვალით საფრანგეთისა და სამხრეთ აფრიკის „ა" ნაკრებები რომ სტუმრობდნენ თბილისს. სამხრეთაფრიკელთა მაშინდელი გუნდიდან ეროვნულ ნაკრებში დღეს 7 მორაგბე თამაშობს.

საქართველოს რაგბის კავშირმაც ახლახან შექმნა „ა" ნაკრები, რომლის საბრძოლო ნათლობაც ხვალ შედგება. ამით ბორჯღალოსანთა მწვრთნელ კლოდ სორელს საქმე გაუადვილდება, რაკი მატჩების ნაკლებობის გამო კანდიდატების გამოცდას ვერ ასწრებდა.

ახალშექმნილი „ა" ნაკრები საფრანგეთის სამხრეთით მდებარე ერთ-ერთი ოლქის ნაკრებს გაეჯიბრება. ბორჯღალოსნებიდან მხოლოდ გარემარბი ვასილ აბაშიძე და მორკინალი გიორგი ჩხაიძე ითამაშებენ. გუნდშია ყოფილი ბორჯღალოსანი ნიკოლოზ იურინი, იგივე „ბეირუთა", ვინც ნაკრების მაისურა ბოლოს შარშანწინ მოირგო, დანარჩენები ჭაბუკთა და ახალგაზრდული ნაკრებების წევრები არიან.

საქართველოს რაგბის კავშირს „ა" ნაკრების შექმნა შარშანაც უნდოდა, მაგრამ მაშინ ამის გაკეთება მიზეზთა გამო ვერ მოახერხეს.

## 2003 წლის მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირი

# რუსეთი გზაში წამოგვეწია

1 ივნისი. მოსკოვი, „ფილი"

**რუსეთი 65:3 პოლანდია**

**რუსეთი: ზაკარლიუკი, პროტასოვი (ჩუპინი), კორობეინიკოვი, გ. სერგეევი (ფუკოვი), კოშელევი, პიტერსი, ბუდნიკოვი (იანიუშკინი); შუკაილოვი (ხროკინი), რომაკი (ნიკოლაიჩუკი 57), პენდრიქსი, საგადეევი, შელეპკოვი, ნაუმენკო, ფოლხენკო, კორშუნოვი**

**9 ლ: გ. სერგეევი, ზაკარლიუკი, პიტერსი (3), იანიუშკინი, ფოლხენკო, კორშუნოვი, ნაუმენკო; 7 გ: კოშელევი (6), პიტერსი (2); 1 ს: პიტერსი; 1 ა: პიტერსი**

**პოლანდია: 1 ს: ვან დერ ლინდე**

ახლა უკვე დასტურ შეიძლება იმის თქმა, რომ 2003 წლის მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირის ბოლო ეტაპზე საქართველოსა და ირლანდიის მეტოქე რუსეთი იქნება. ქართულ-რუსული სარაგბო შეხლა 5 ოქტომბერს ეროვნულზე შედგება. ჯგუფიდან პირდაპირ თასის ფინალურ ეტაპზე ორი გუნდი გადის, მესამე კი რეპეშაჟიდან (სანუგეშო ტურნირიდან) შეეცდება ავსტრალიაში მოხვედრას.

რუსეთმა შესარჩევი ტურნირი ბოლოსწინა ეტაპიდან იმიტომ დაიწყო, რომ ორწლიანი მონაგრით ევროპის ერთა თასზე მესამე ადგილი დაიკავა. სამგუნდა ჯგუფში „დათვებმა" ჯერ ჩეხებს მოუგეს სტუმრად, ახლა კი მაჩანჩალა პოლანდია გაანადგურეს მოსკოვში და ჯგუფში იპირველეს. ეს ასეც უნდა მომხდარიყო. მოულოდნელი ის იქნებოდა, ერთა თასის გუნდებიდან ყველაზე პროგრესირებად რუსებს არაფრისმაქნისი „ტიტების" დამარცხება გასჭირვებოდათ.

ჩვენს მეზობლებს აკლდათ მონტობანელი ლეგიონერები — კონსტანტინ რაჩკოვი, სერგეი სერგეევი და ვიაჩესლავ გრაჩოვი. რაჩკოვი და სერგეევი კლუბს შეეშველნენ საფრანგეთის ჩემპიონატში, გრაჩოვმა კი ლონდონის და კარდიფის ტურნირებზე იშვიდკაცა. მათი არყოფნა „დათვებს" არც დასტყობიათ. დებიუტანტებით შევსებულმა „დათვებმა" პირველივე წუთზე გაიტანეს ლელო და პოლანდიელთა რბევა მსაჯის საფინალო სასტვენამდე არ შეუწყვეტიათ.

განსაკუთრებით გამოირჩა გარუსებული სამხრეთაფრიკელი რენე პიტერსი, რაჩკოვის არყოფნაში გუნდის შეტევებს რომ გაუძღვა. პიტერსმა საჯარიმო-არეკ-გარდასახვებთან ერთად „ტიტებს" 3 ლელოც გაუტანა და 25 ქულა მოინაგრა.

**ბაჩო სვანიძე**

## ბარბაროსების ბრიტანული ტურნე

# უელსი დაეცა, შოტლანდიაც, ინგლისი გადარჩა!

1 ივნისი. მარიფილდი

**შოტლანდია 27:47 ბარბაროსები**

**შოტლანდია: 3 ლ: ლანეი, ბლერი, პეტერსონი; 3 გ: ლანეი; 2 ს: ჰოჯი, ლანეი**

**ბარბაროსები: 7 ლ: ჩესნი, უილიამსი, ბლატინი, კრონფელდი, რობინსონი (2), მიულერი; 6 გ: ვან სტრაატენი (5), ველრიტი**

ბარბაროსებმა ანგლოსაქსური ტურნე შოტლანდიელთა 47:27 ძლევით გაასრულეს და ბრიტანეთს მხოლოდ ინგლისელებისგან ნაწვნევი მარცხით ტოვებენ.

მარიფილდში „მამაცი გულები" შესუსტებულნი დაუხვდნენ მსოფლიოს რჩეულთ. უცნობილეს გრეგორ თაუნსენდის გარდა სამი მორაგბეც მოისაკლისეს და რაღა გასაკვირია, ბარბაროსებმა იოლად რომ იძალეს. სტუმრების გატანილი 7 ლელოდან 2 ფერადკანიანმა ინგლისელმა მარკ რობინსონმა გააჩერჩა და საერთოდაც, ბარბაროსი „ვარდი" 30 მორაგბიდან საუკეთესო იყო.

სკოტთა ჩათვლის მოედანს პირველმა კრის ჩესნიმ უწია, მერე ჯიმ უილიამსმა ივარგა, პირველი ტაიმის მიწურულს კი ანგარიში უკვე 28:0 იყო. შოტლანდიელთაგან პირველი ბრენდან ლანეი გამოფხიზლდა, რომელმაც მოხდენილად ჩაურბინა ბარბაროს მცველებს და მისიანთა სამ ლელოდან პირველი გაიტანა. დანკან ჰოჯის ზედ ტაიმის ბოლოს გატანილმა საჯარიმომ მასპინძლებს მცირე იმედი ჩაუსახა — 13:28.

შესვენების შემდეგ რობინსონის დრო დადგა. მისმა მოულოდნელობამ და მიჯრით გატანილმა ლელოებმა შოტლანდიელთ წარმატების იმედი ჩაუკლა. ბლერისა და პეტერსონის მართლაც პრესტიჟის ლელოებითა და ლანეის გარდასახვებით შოტლანდია, ეგ იყო, სირცხვილს ასცდა.

**ირაკლი ბერტაია**



REUTERS ულსანიდან


REUTERS ულსანიდან



REUTERS ბომბეიდან


REUTERS

# იქაური სურათები

ბრა-ზილ, ამბობს ერთი გოგო. ბრა, ბრა, ბრა-ზილ, იმეორებს ხალხი, რომელსაც წამდაუწუმ მაინც გაექცევა ხოლმე თვალი ტრიბუნისკენ მაშინ, როცა მოედანზე ბურთი დენილსონს მიუღია. ცხადია, ეს ბრაზილიელ გოგონათა ბრალია, ვის წინაშეც სულ ადვილად შეძლებია თავის მოწონება ბრაზილიელთავე სათადარიგო მეკარეს, როჯერიო სენის. ულსანის საკრავების მაღაზიაში შესული სენი გიტრიკვრის ოსტატობას ავლენს.

გოგონებზე ჩამოვარდა სიტყვა და, ჩინელ გოგონებს ეგებ დიდად არ ესმით ფეხბურთი, მაგრამ სულ სხვანაირად მოკაზმულნი თავიანთი ჩანჩალა ნაკრების ჩინურად ლამაზ ბიჭებს ესალმებიან. ტყუილად დაუხეთქია ფილტვები სქელუა ჩინელ ჯეელსაც, ვისმა საყვირმაც ვერაფერი უშველა კოსტარიკელებთან დამარცხებულ მის თანამემამულეებს.

ინგლისელებთან მატჩის წინ ქვიშაში ჩამსხდარან გაბრიელ ბატისტუტა, რობერტო ბონანო, ხოსე შამოტი და ოხუნჯობენ. დიდი ფეხბურთისგან მოშორებულ ინდოეთში, აწ ოპოზიციური ეროვნული პარტიის აქტივისტები მმართველი პარტიის მინისტრ ქალბატონს სუშმა სვარაის ამათრახებენ, სახელმწიფო არხმა რატომ არ იყიდა მსოფლიო ჩემპიონატის ტელეტრანსლაციის უფლება.



REUTERS



REUTERS

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს,
ოთხშაბათს, ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ქუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე
ყაზბეგის გამზირი 42, II
კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო
ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge